www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 13 ოქტომბერი, 2012 წელი. | №3135 (228) | ფასი 50 თეთრი

სააკაშვილი დეკემბერში ნატო-სგან ახალ გადაწყვეტილებას ელის

დათო გამისონია

ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი საპარლამენტო არჩევნების შესახებ, ტელეფონით, ჯერ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, შემდეგ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატ ბიძინა ივანიშვილს ესაუბრა. სააკაშვილთან საუბრის შესახებ ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია აქვეყნებს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

დასუფთავების ტარიფი - სეზონური ან ფიქსირებული

თბილისის მერიაში გუშინ 2013 წლის ბიუჯეტზე იმსჯელეს. ერთ-ერთი მთავარი საკითხი კომუნალური გადასახადები იყო.

თბილისის მერია ელექტროენერგიისა და დასუფთავების გადასახადების განცალკევების საკითხს არ განიხილავს, თუმცა თბილისელებისთვის კომუნალურ გადასახადებში გარკვეული შეღავათების დასაწესებლად ორ ვარიანტზე ფიქრობს. დასუფთავების ტარიფი, შესაძლოა, სეზონური ან ფიქსირებული გახდეს. **"ერთი ვარიანტია სეზონური ტარიფის შემოღება - ანუ ზამთარში ნაგვის გადასახადი უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე სხვა სეზონებზე, რადგან ზამთარში დენის მოხმარება მეტია. ამ სისტემას თავისი უპირატესობებიც აქვს - თბილისში 25 ათასი ბინა დაკეტილია და შესაბამისად, თუ ბინა დაკეტილია, გადასახადსაც არ იხდის. არის მეორე ვარიანტიც, რომელიც შეხვედრაზე შევთავაზე ჩემს კოლეგებს - დასუფთავებაზე დაწესდეს ფიქსირებული გადასახადი, ოჯახზე 7 ლარის ოდენობით,"** - განაცხადა თბილისის მერმა გიგი უგულავამ საკრებულოს წევრებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ.

როგორც თბილისის მერმა აღნიშნა, მისი აზრით, მეორე ვარიანტი ყველაზე ლოგიკური და საინტერესოა. **"აღნიშნულ ოპტიმალურ ვარიანტებზე მუშაობა თბილისის მერიამ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც** "ნაციონალურ მოძრაობას" 1000-ლარიანი ვაუჩერის განხორციელების შესაძლებლობა აღარ მიეცა. ნებისმიერი სისტემის არსებობის შემთხვევაში, სოციალურად დაუცველი ოჯახები იმავე შეღავათებით ისარგებლებენ. ჩვენ შევთანხმდით, რომ თბილისში 50 ათასი ოჯახი ნებისმიერ შემთხვევაში ტარიფის მხოლოდ ნახევარს გადაიხდის," - აღნიშნა გიგი უგულავამ.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

შსს-ს გადაბარება "ნეიტრალურ ტერიტორიაზე" დაიწყო

შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ ეკა ზღულაძისა და მინისტრობის კანდიდატ ირაკლი ღარიბაშვილის პირველი შეხვედრა გუშინ სასტუმრო "თბილისი მერიოტში" შედგა. შეხვედრის ადგილმა და ფორმატმა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის დადებითი შეფასება დაიმსახურა.

"მოხარული ვარ, რომ შეხვედრა სხვა ადგილას შედგა, რადგან სამინისტროში გარკვეული იერარქია არსებობს და ახალი მინისტრისგან ეს ქმედება მივიღე, როგორც პატივისცემის ჟესტი," - განაცხადა ეკა ზღულაძემ.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა და მინისტრობის კანდიდატმა ისაუბრეს სამინისტროს სტრუქტურაზე, დეტალურად განიხილეს შს სამინისტროს ყველა დეპარტამენტის საქმიანობა, ასევე ისაუბრეს სამინისტროს ბიუჯეტზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ბაიდენი-რაიანის დებატები ფრედ დამთავრდა

ხათუნა გაბიევი

ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო კანდიდატების დებატების პირველი რაუნდის შემდეგ ვიცე-პრეზიდენტობის პრეტენდენტთა დებატები გაიმართა პირდაპირ ეთერში. კენტუკის კოლეჯში ერთმანეთს მოქმედი ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი და მისი რესპუბლიკელი მეტოქე პოლ რაიანი. დებატები საათ-ნახევარი გაგრძელდა და მას პირდაპირ ეთერში "ABC"-ის ჟურნალისტი მარტა რადაცი უძღვებოდა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6626⇓
1 ევრო	2.1467⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.6655⇓
1 თურქული ლირა	0.9181⇓
100 რუსული რუბლი	5.3345⇓

თბილისი	23°C - 12°C
ქუთაისი	23°C - 15°C
თელავი	24°C - 10°C
ზუგდიდი	23°C - 13°C
ბათუმი	24°C - 18°C

ნავთობი	3.21	-0.04	-1.35%
გაზი	3.58	-0.02	-0.61%
ოქრო	1,761.60	-9.00	-0.51%
ხორბალი	858.50	-27.50	-3.20%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

თანამედროვე ოქროს კერპის სტუდენტური ვარიაციები

ბელა ჩეკურიშვილი

"საზოგადოება მუდამ ახალ-ახალ კერპს მიწესებს პოლიტიკური ლიდერების სახით და მე თუ არ ვეთანხმები, მოღალატე ვარ. მოღალატე ვარ მაშინაც, როცა გარკვეულ რელიგიურ დოქტრინებს არ ვიზიარებ.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

დასანანი ფრე

საქართველოს ნაკრებმა 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მორიგი მატჩი გამართა. თუ ფინეთში გასვლით მატჩამდე ვინმე გვეტყოდა, რომ ქეცბაიას შეგირდები ჰელსინკიდან ქულას ჩამოიტანენო, უკმაყოფილო არავინ იქნებოდა, თუმცა თავად თამაშის შემდეგ უკმარისობის გრძნობა აშკარად დარჩა. "ხუთჯვაროსნები" საკმაოდ ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან და წესით ჰელსინკში სამი ქულაც უნდა აეღოთ, მაგრამ რაღაც მომენტში არ გაგვიმართლა, რაღაც მომენტში კი ჩვენ ფეხბურთელებს ოსტატობა რა ეყოთ.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

დაუშვილი აქტიური იყო

ახალი მონაცემები განმეორებითი არჩევნების შესახებ

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ხაშურის კიდევ ოთხ უბანზე დამატებითი არჩევნები დანიშნა. news.ge-ს ინფორმაციით, გადაწყვეტილება საარჩევნო კომისიამ გუშინდელ სხდომაზე მიიღო.

განმეორებითი არჩევნები დაინიშნა ხაშურის №1, № 2, №9, №13 საარჩევნო უბნებზე. სხვა უბნებზე დანიშნული განმეორებითი არჩევნების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც განმეორებითი არჩევნები 2012 წლის 14 ოქტომბერს ჩატარდება.

მთლიანობაში, განმეორებითი კენჭისყრა საქართველოს მასშტაბით სულ 11 უბანზე გაიმართება. გაბათილებულ უბნებზე კენჭისყრის განმეორებით ჩატარების განკარგულება ცესკო-მ 10 სექტემბრის სხდომაზე მიიღო, რომლის თანახმადაც ხელახალი არჩევნები სიღნაღის N5, გორის N4, ხაშურის N3, N8, N10, N45, N46 საარჩევნო უბნებზე ჩატარდება.

კონსულტაციები გრძელდება

ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრში მინისტრობის კანდიდატების შეხვედრები გრძელდება. სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრობის კანდიდატ სოზარ სუბარის თქმით, პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეების კანდიდატებთან შეხვედრების პარალელურად, კონსულტაციები მიმდინარეობს მომავალი მთავრობის წარმომადგენლებთანაც.

მისივე თქმით, ეკონომიკური გუნდის შემადგენლობა ჯერ ვერ გახდება ცნობილი, მაგრამ ამ საკითხებზე მსჯელობა გრძელდება. როგორც სუბარი ამბობს, კანდიდატურა ძალიან ბევრია, მაგრამ ჯერ არც ერთი კონკრეტული გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

news.ge-ს ინფორმაციით, ბიზნესცენრში კონსულტაციებზე იმყოფებიან სპორტის მინისტრობის კანდიდატი ლევან ყიფიანი, საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატი მაია ფანჯიკიძე, დიასპორის საკითხებში მინისტრობის კანდიდატი კოტე სურგულაძე, შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატი ირაკლი ღარიბაშვილი, იუსტიციის მინისტრობის კანდიდატი თეა წულუკიანი, რეგიონულიი განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატი კახა კალაძე და ჯანმრთელობის მინისტრობის კანდიდატი ამირან გამყრელიძე.

კოალიციაში გრძელდება კონსულტაციები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველის კანდიდატურაზეც.

კოალიცია "ქართული ოცნების" წევრი მურმან დუმბაძე არც უარყოფს და არც ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველის თანამდებობაზე ბანკ "ქართუს" ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელ არჩილ ხაბაძის კანდიდატურის განხილვის შესახებ.

მისი განცხადებით, არჩილ ხაბაძე კარგი ფინანსური მენეჯერია და მას უფრო სხვა ამპლუაში ხედავს. მურმან დუმბაძე ამბობს, რომ კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერის ბიძინა ივანიშვილისგან კოალიციის წევრებს მიღებული აქვთ მითითება, რომ რამდენიმე დღეში თავადაც წარადგინონ შესაძლო კანდიდატურები როგორც აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელის, ასევე მინისტრთა კაბინეტისთვისაც, - წერს news.ge.

მოქმედი პრემიერი შიდა ქართლში

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ვანო მერაბიშვილი გუშინ შიდა ქართლში იმყოფებოდა, სადაც რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული და სასოფლო სამეურნეო პროექტები დაათვალიერა, - ამის შესახებ "ინტერპრესნიუსი" იუწყება.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, თავდაპირველად ვანო მერაბიშვილი გორის რაიონის სოფელ სვენეთს ესტუმრა, სადაც 3.3 ჰექტარზე სათბურის მშენებლობა მიმდინარეობს. მშენებლობა წელს, მაისში დაიწყო და ოქტომბრის ბოლოს დასრულდება. ამის შემდეგ სათბურში პომიდვრის ჩითილები დაირგვება, საიდანაც, საშუალოდ, 1500 ტონა პომიდვრის მოსავლის აღება იგეგმება. მშენებლობაზე 100-მდე ადგილობრივია დასაქმებული, ხოლო ამოქმედების შემდეგ სათბური 80 ადამიანს დაასაქმებს.

სვენეთის სათბურის შემდეგ, "ინტერპრესნიუსის" ცნობისთ, პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ქალაქ გორის ცენტრი დაათვალიერა, სადაც უკვე დასრულდა წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია და ამჟამად სტალინის სახლ-მუზეუმის მიმდებარე პარკის და გორიჯვართან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ვანო მერაბიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის და ახალი მთავრობის დამტკიცების შემდეგ შიდა ქართლში მიმდინარე როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე ინფრასტრუქტურული პროექტები გაგრძელდება და წინასწარ დათქმულ ვადებში დასრულდება.

საქართველოს საგარეო კურსში ძირეული ცვლილებები არ იგეგმება

"საქართველო არა ავღანეთის მისიის მონაწილე და ეს საკითხი არ გადაიხედება," - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა მაია ფანჯიკიძემ. მისი თქმით, საქართველოს საგარეო კურსში ძირეული ცვლილებები არ იგეგმება, - წერს "ინტერპრესნიუსი".

"ნატო-ში და ევროკავშირში ინტეგრაცია რჩება ქვეყნის პრიორიტეტულ საკითხად და ეს ის საკითხია, რომელზეც ჩვენ კონსულტაციები გვექნება ამჟამინდელ ხელისუფლებასთან, რომ არ დაზარალდეს საქართველოს ინტერესები. ჩვენი წარმომადგენლები უკვე ესწრებიან პირველ შეხვედრებს ჟენევაში და დაესწრებიან მომავალ კვირას შეხვედრებს ბრიუსელშიც. მე მგონია, რომ ეს იქნება ის საკითხი, რომელზეც ჩვენ შეთანხმებას მოვახერხებთ," - ირწმუნება მაია ფანჯიკიძე.

დასუფთავების ტარიფი - სეზონური ან ფიქსირებული

პირველი გვერდიდან

ქალაქის მერის განცხადებით, ამ საკითხზე მუშაობა მომავალ კვირასაც გაგრძელდება, რათა ოპტიმალურ ვარიანტზე შეჯერება საკრებულოს უახლოეს სხდომამდე მოხდეს. ასევე, მისი თქმით, მათი მთავარი ამოცანაა, თბილისის 2013 წლის ბიუჯეტში თბილისელებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ყველა პროგრამა აისახოს. **"ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ არც ერთი პროგრამა არ გაუქმდეს და არ გაფუჭდეს. ჩვენს მთავარ ამოცანას წარმოადგენს, შევძლოთ და ბიუჯეტში ავსახოთ ყველა ის პროგრამა, რომელიც თბილისელებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მოვახდინოთ ამ პროგრამების განვითარება, გაგრძელება და დახვეწა. არ უნდა შეჩერდეს არც ერთი სერვისი და არ უნდა დადგეს მათი გაფუჭების საფრთხე. ჩვენი ბუნებრივი მოთხოვნაა, რომ სერვისები კიდევ უფრო გაუმჯობესდეს და მორგებული იყოს თბილისელების საჭიროებაზე,"** - განაცხადა უგულავამ.

თბილისის მომავალი წლის ბიუჯეტი, კანონის მიხედვით, საკრებულოში განხილვამდე ცენტრალურ მთავრობასთან კონსულტაციების შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს.

"ქრისტიან-დემოკრატიული" ფრაქციის წევრ ჯაბა სამუშიას განცხადებით, მათ ყველაზე მისაღებ გადაწყვეტილებად აბონენტისთვის კონკრეტული, მოჭრილი გადასახადის დანიშვნა მიაჩნიათ. "გადაწყვეტილება, რომელიც საკრებულომ 2011 წლის ივნისში მიიღო, უნდა გაუქმდეს. ბრძოლის შედეგად "ნაციონალურმა მოძრაობამაც" აღიარა საკუთარი შეცდომა. ელექტროენერგია და დასუფთავება უნდა განცალკევდეს. ის გადაწყვეტილება კანონდარღვევაა და ანტიკონსტიტუციურია," - აღნიშნა ჯაბა სამუშიამ თბილისის მერიისა და საკრებულოს წევრთა შეკრების დასრულების შემდეგ.

როგორც სამუშიამ განმარტა, "ქრისტიან-დემოკრატების" ინიციატივით საკრებულოში შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამ თემაზე, დაახლოებით, ერთი კვირის განმავლობაში იმუშავებს.

"რესპუბლიკური პარტიის" წევრ გულიკო ზუმბაძის განცხადებით, მერიის მხრიდან შემოთავაზებული ელექტროენერგიისა და დასუფთავების გადასახადების განცალკევების ალტერნატიული ვარიანტები არაეფექტურია.

"რესპუბლიკელთა" განმარტებით, თბილისის მერის შემოთავაზება - 7-8 ლარის ოდენობით ფიქსირებული ტარიფის შემოღება, ბევრი ოჯახისთვის, ვინც 3-5 ლარს იხდის, გაძვირება იქნება. **"ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ თემაზე კიდევ შეიძლება მუშაობა და დასუფთავების გადასახადი რაც შეიძლება ოპტიმალური და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. დედაქალაქში უნდა გაიზარდოს ადამიანთა ის კატეგორიები, რომლებსაც შეღავათები უნდა დაუწესდეთ. უნდა ამოქმედდეს რეგისტრაციის სისტემა და ამ შემთხვევაში** "რესპუბლიკელების" შეთავაზება ტარიფის სულადობის მიხედვით განსაზღვრა იქნება," - აღნიშნა გულიკო ზუმბაძემ.

"ნაციონალურ მოძრაობას" რამდენიმე წევრი გამოეყო

"ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციიდან გასული ადამიანები ორ კატეგორიად იყოფიან: ერთნი, რომელთაც მუდმივად უმრავლესობაში ყოფნა სურთ და ამის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ და მეორენი, რომლებსაც დროული ღალატი ღალატად არ მიაჩნიათ," - ასეთი კომენტარი გააკეთა თბილისის მერმა გიგი უგულავამ თბილისის საკრებულოს "ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციიდან ხუთი წევრის გასვლის შემდეგ.

საკრებულოს "ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციიდან გამოსვლის და ახალი ფრაქციის შექმნის შესახებ განცხადება ირაკლი შიხიაშვილმა, მერაბ რაფავამ, გიორგი ნემსაძემ, მიხეილ ქავთარაძემ და ზაზა დილიძემ გუშინ გააკეთეს. ამიერიდან ისინი საკრებულოში ქალაქის ინტერესების დაცვას ფრაქცია "თავისუფლების" სახელით გააგრძელებენ. **"ვემიჯნებით "ნაციონალურ მოძრაობას", რომელიც მისმა მმართველებმა დისკრედიტირებულ და ამორალურ ორგანიზაციად გადააქციეს. თბილისის მერი გიგი უგულავა ჩვენ მოღალატეებს გვიწოდებს, მაგრამ გვინდა, მას ვუთხრათ - როცა პოლიტიკური ორგანიზაცია უპირისპირდება საკუთარ მოსახლეობას და ცდილობს, ჩაახშოს თავისუფალი ნება, როცა არჩევანს აყენებს საკუთარ პარტიასა და ქართველ ხალხს შორის, რა თქმა უნდა, ჩვენი არჩევანი ყოველთვის ქართველი ხალხის მხარეს იქნება,"** - ეს განცხადება, ოთხი თანამოაზრის სახელით, ირაკლი შიხიაშვილმა გააკეთა და იქვე განმარტა, რომ თბილისის საკრებულოში "ნაცმოძრაობის" რღვევის შეუქცევადი პროცესია დაწყებული და ახალი ფრაქცია მათ მისაღებად მზად არის.

"ამ ხალხისგან მსგავსი რამ ამ წლების განმავლობაში არ მსმენია, სამაგიეროდ, მსმენია ბევრი სადღეგრძელო ერთგულებაზე. ამ ადამიანებმა კინოფილმი "გარაჟი" გამახსენეს - იქ ბევრი საინტერესო პერსონაჟია, თუმცა არის რამდენიმე გმირი, რომელიც დღესაც ძალიან აქტუალურია. ერთ-ერთი მათგანია პირი, რომელიც მაკაკებზე აკეთებს ექსპერიმენტებს - იქაცაა ჭიდილი, ვინ მოაგროვებს უმრავლესობას და ეს კაცი მუდმივად ირყევა აქეთ-იქეთ, ხან ერთ უმრავლესობაშია, ხან მეორეში. ბოლოს გამოაცხადებს თავის კრედოს, რომ არის ადამიანი, რომელსაც უნდა, მუდმივად იყოს უმრავლესობაში, სხვაგვარად თავისი არსებობა წარმოუდგენლად მიაჩნია," - ასეთია უგულავას შეფასება.

დედაქალაქის მერის განმარტებით, დღეს მიმდინარე პროცესი "ნაციონალური მოძრაობისთვის" სასარგებლოა, რადგან ამით ის კრისტალიზაციას განიცდის.

"პატივს ვცემ ნებისმიერი ადამიანის გადაწყვეტილებას. ბუნებრივია, 10-წლიანი მმართველობის შემდეგ შეიძლება, პარტიაში ბევრი ხავსი გაჩნდეს. პროცესი, რომელიც დღეს მიმდინარეობს, ძალიან ჯანსაღია, განსაკუთრებით "ნაციონალური მოძრაობისთვის". ეს არის კრისტალიზაციის პროცესი, მუდმივად უმრავლესობაში მყოფი ხალხისგან გათავისუფლების პროცესი და პროცესი იმისა, რომ ღირებულებებით და იდეებით დაკავშირებული ადამიანები უნდა დარჩნენ ერთად და არა ისეთი ხალხი, ვისაც მარტო ხელისუფლებაში და უმრავლესობაში ყოფნა უნდა. მენდეთ, ეს ყველაზე კარგია "ნაციონალური მოძრაობისთვის," - აღნიშნა გიგი უგულავამ.

"კარგი დასაწყისი" ჟენევის 21-ე რაუნდზე

დათო გამისონია

ჟენევის მოლაპარაკებებისადმი საქართველოში მყარად უიმედო დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. ასე იყო პროცესის დაწყებიდან 20 შეხვედრის განმავლობაში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ომის შემდეგ მოლაპარაკებების რეჟიმში გადასვლა თავისთავად დადებითი მოვლენაა. გაერო-ს, ეუთო-ს და ევროკავშირის ეგიდით მოქმედ ფორმატში აქამდე ერთადერთ შეთანხმებას მიაღწიეს - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ჯგუფები ჩამოყალიბდა. თუმცა, გალში შეხვედრის გამართვა მარტის შემდეგ ვერ ხერხდება. აფხაზეთის მარიონეტულმა მთავრობამ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს, პოლონელ დიპლომატ ანჟეი ტიშკევიჩის უნდობლობა გამოუცხადა.

დაძაბულ ფონზე ჟენევის 21-ე რაუნდი შეიძლება, მნიშვნელოვან ნაბიჯად ჩაითვალოს. მოლაპარაკებების ბოლოდროინდელი დღის წესრიგის მთავარი საკითხის - სამშვიდობო დოკუმენტის პროექტის განხილვა დაიწყო. **"რეალურად დავიწყეთ ტექსტზე მუშაობა. თუ პროცესი სწორად წარიმართება, იქამდე მივალთ, რომ რუსეთის ფედერაცია საქართველოს წინააღმდეგ ძალის არგამოყენების ვალდებულებას აიღებს. ტექსტის შესახებ პირველი სამუშაო სესია შედგა,"** - თქვა შეხვედრის შემდეგ საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სერგი კაპანაძემ. მისი თქმით, დოკუმენტზე მუშაობა თანათავმჯდომარეების ინიციატივით დაიწყო. საქმე ის არის, რომ რუსეთი აქამდე ამ ტიპის დოკუმენტის მომზადებას ეწინააღმდეგებოდა. კაპანაძე მოსკოვის პოზიციის ცვლილების მიზეზებზე საუბრობს. **"კონსოლიდირებული საერთაშორისო პოზიციაა იმის შესახებ, რომ რუსეთმა ძალის არგამოყენების ვალდებულება უნდა აიღოს. ამ საკითხზე განცხადება ევროკავშირის მინისტრებმა გააკეთეს; ნატო-ს სამიტზეც ითქვა; ყველაფერი ნელ-ნელა გროვდებოდა, სანამ საერთაშორისო თანამეგობრობამ ძალიან ცალსახად არ განაცხადა, რომ რუსეთმა ეს ვალდებულება უნდა აიღოს,"** - აღნიშნავს სერგი კაპანაძე.

სამუშაო პროცესის ინტერესებიდან გამომდინარე, სერგი კაპანაძე სამშვიდობო დოკუმენტის კონკრეტულ დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებს. მწირ ინფორმაციას იძლევა თანათავმჯდომარეების მიერ გამოქვეყნებული ერთობლივი პრესკომუნიკე. პრესკონფერენციაზე კი ეუთო-ს სპეციალურმა წარმომადგენელმა, ირლანდიელმა დიპლომატმა პოდრიგ მერფიმ 21-ე რაუნდი კარგ დასაწყისად შეაფასა. **"საქმე ეხება სამშვიდობო დოკუმენტს, რომელსაც, შესაძლოა, პროცესის ყველა მონაწილემ მოაწეროს ხელი,"** - ამბობს მერფი.

ჟენევის მოლაპარაკებებში, მოდერატორი საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა, ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი და საქართველო მონაწილეობენ. ამასთან, სამუშაო შეხვედრებში, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მარიონეტული რეჟიმების გარდა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მთავრობებიც არიან ჩართულები.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

სააკაშვილი დეკემბერში ნატო-სგან ახალ გადაწყვეტილებას ელის

პირველი გვერდიდან

"ნატო-ს გენერალური მდივნის შეფასებით, დღეს ისტორიული მომენტია საქართველოს დემოკრატიის განვითარებისთვის. ანდერს ფოგ რასმუსენმა საქართველოს პრეზიდენტს, ქართველ ხალხს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გამართვა მიულოცა და კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის მხარდაჭერა. საუბრის დასასრულს გენერალურმა მდივანმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესი შეუქცევადია და საქართველოს ამ გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმის საშუალება ეძლევა," - ნათქვამია პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობაში.

მიხეილ სააკაშვილმა მოგვიანებით ვიდეომიმართვაც გაავრცელა, სადაც ამბობს, რომ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ნოემბერში პრაღაში, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის 58-ე სესიაზე პირადად მიიწვია. ღონისძიებაზე მიხეილ სააკაშვილი მთავარი მომხსენებელი იქნება. სააკაშვილის თქმით, დეკემბერში ნატო-ს მინისტერიალია დაგეგმილი, სადაც შესაძლებელი იქნება, ახალი გადაწყვეტილებები მიიღონ. სააკაშვილმა მიმართვაში ივანიშვილთან საუბრის დეტალებიც გაამხილა. პრეზიდენტის თქმით, დემოკრატიულად გამართული არჩევნების შემდეგ საქართველო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს კიდევ უფრო დაუახლოვდა. მიხეილ სააკაშვილს მიაჩნია, რომ ქვეყანას ახლა ისტორიული შანსი აქვს, რომ ნატო-ში ინტეგრაციის თვალსაზრისით სერიოზულად წაიწიოს წინ. როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ამის შესახებ მან პრემიერ-მინისტრობის კანდიდატთანაც ისაუბრა. მიხეილ სააკაშვილმა ისიც დასძინა, რომ არჩევნების შედეგად მოსულ კოალიციასთან თანამშრომლობა აუცილებელია, რათა ინტეგრაციის პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდეს.

"მე, როგორც პრეზიდენტი, მზად ვარ, ჩემი საპრეზიდენტო ვადის შემდგომი ერთი წლის განმავლობაში, ამ არჩევნების ფონზე, საქართველოში დემოკრატიულ ჩარჩოს შესანარჩუნებლად ყველაფერი გავაკეთო. ვფიქრობ, ილუზიები იმის შესახებ, რომ ჩვენს დამპყრობელთან პრობლემები საქართველოს რომელიმე პოლიტიკური ლიდერის ან პიროვნების გამო გვაქვს, ამ არჩევნების შემდეგ აღარავის, მათ შორის აღარც კოალიციას დარჩება და გაეფანტება," - ამბობს სააკაშვილი. როგორც პრეზიდენტი აცხადებს, ფუნდამენტური პრობლემაა საქართველოს დამოუკიდებლობა. ამიტომ საქართველოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, მისი თქმით, ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა ევროატლანტიკური კურსის გაძლიერება. **"ვინც არ უნდა იყოს მთავრობაში, ამ კურსს ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის არავითარი ალტერნატივა არ გააჩნია,"** - ამტკიცებს პრეზიდენტი. მას მიაჩნია, რომ არჩევნების საბოლოო შედეგების დაზუსტება და ახალი მთავრობის ჩამოყალიბება არ უნდა გაჭიანურდეს.

საქარველოს პრეზიდენტმა მთავრობის გადაბარების პროცესზეც ისაუბრა და მომავალ ხელისუფლებას რჩევებიც მისცა. **"გადაბარების პროცესს თვალს ვადევნებ. საქართველოს დღეს ბევრად ნაკლები ვალი აქვს, ვიდრე მას ვარდების რევოლუციამდე და მის შემდეგ ჰქონდა. საქართველოს ბიუჯეტს აქვს ისეთი რესურსი, რომ მხოლოდ ამ რესურსის გამოყენებითაც შეიძლება, ძალიან ბევრი კარგი რამ გაკეთდეს. ახლა ეს ბიუჯეტი უნდა გადაიბარონ, ქართველ ხალხს მოახმარონ და საგარეოპოლიტიკური, ევროატლანტიკური კურსი გააგრძელონ. ჩვენ ამას ყველანაირად შევუწყობთ ხელს, რადგან ჩვენი ამოცანაა საქართველოს წინსვლა. პოლიტიკოსებიც უნდა მიხვდნენ, რომ საარჩევნო კამპანია დამთავრდა, აიღონ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა და მოეშვან საარჩევნო რიტორიკასა და აგრესიას. ახლა, რეალურად, მუხლჩაუხრელად უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რასაც ხალხმა მისცა ხმა,"** - განაცხადა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

რასმუსენისა და ივანიშვილის სატელეფონო საუბრის შესახებ ინფორმაცია კი ბიძინა ივანიშვილის "ფეისბუქის" გვერდზე გავრცელდა: **"ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატ ბიძინა ივანიშვილს ტელეფონით ესაუბრა და საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. რასმუსენმა აღნიშნა, რომ ამ არჩევნებით საქართველომ დემოკრატიის ტესტი წარმატებით ჩააბარა. მხარეებმა ნატო-საქართველოს შემდგომი ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივაზე ისაუბრეს და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანების იმედი გამოთქვეს."**

სატელეფონო საუბრის შესახებ რასმუსენმაც სოციალურ ქსელში დაპოსტა. **"პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და ბატონ ბიძინა ივანიშვილს ახლახან დავურეკე და ორივე ლიდერს მივულოცე. ვულოცავ საქართველოს ახალ ხელმძღვანელობასა და ქართველ ხალხს თავისუფალი, მშვიდობიანი და კონკურენტუნარიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას,"** - წერს რასმუსენი "ტვიტერის" საკუთარ გვერდზე. გენერალური მდივანი ასევე აღნიშნავს, რომ ნატო მზად არის, საქართველოს კვლავაც დაეხმაროს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმებში. რასმუსენი საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობას ელოდება.

რასმუსენის ზარის შემდეგ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია ბიძინა ივანიშვილთან შესახვედრად მისსავე ბიზნესცენტრში მივიდა. მან ივანიშვილთან შეხვედრის შესახებ მთავრობის კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე ისაუბრა. როგორც ბოკერია აღნიშნავს, საქართველოს მომავალ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან შესახვედრად პრეზიდენტ სააკაშვილის დავალებით მივიდა. ბოკერიას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ყოფილ მთავრობასა და მომავალ ხელისუფლებას შორის ფუნდამენტური და არსებითი განსხვავებები არსებობს, რაც ალბათ არც მომავალში გაქრება, პრეზიდენტი და მისი პოლიტიკური გუნდი მომავალ მთავრობასთან ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის შესანარჩუნებლად, ნატო-სთან ინტეგრაციის საკითში მჭიდროდ თანამშრომლობისთვის მზად არიან. **"ჩვენი მხრიდან მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს, რომ საქართველოს ინტერესები იყოს დაცული,"** - ამბობს გიგა ბოკერია. მისივე თქმით, ნატო-ს გენერალური მდივანი ესაუბრა როგორც საქართველოს პრეზიდენტს, ასევე მომავალ პრემიერს, რის შემდეგაც ივანიშვილმა გააკეთა განცხადება, რომ ის ნატო-ს მიმართ არსებულ პოლიტიკურ კურსს შეინარჩუნებს. უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადებით, მათთვის ეს პოზიცია მისაღებია. ბოკერია დასძენს, რომ ივანიშვილთან შეხვედრის იდეა "ოცნებასთან" კონსულტაციების დროს გაჩნდა და ამას მომავალშიც მიესალმება.

საქართველოს ძირითადი საგარეო მიმართულების შენარჩუნების შესახებ საუბრობენ კოალიცია "ქართულ ოცნებაში." საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატი მაია ფანჯიკიძე ირწმუნება, რომ საქართველოს საგარეო კურსში ძირეული ცვლილებები არ იქნება. **"ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს პრიორიტეტად რჩება. ამ საკითხზე ამჟამინდელ ხელისუფლებასთან მჭიდრო კონსულტაციები გვექნება,"** - აღნიშნავს ფანჯიკიძე.

პარლამენტის მომავალი საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძის თქმით, "ქართული ოცნება," მისი ლიდერები და საქართველო ნატო-სკენ მიისწრაფიან.

შსს-ს გადაბარება "ნეიტრალურ ტერიტორიაზე" დაიწყო

პირველი გვერდიდან

შეხვედრის დასრულების შემდეგ ეკა ზღულაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის კმაყოფილია შეხვედრით, რადგან მისი და მომავალი მინისტრის აზრი, რომ შსს ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია, დაემთხვა.

"სასიამოვნო იყო იმის მოსმენა, რომ ახალი მინისტრი გააგრძელებს უსაფრთხოების მაღალი ხარისხის შენარჩუნებას, რომელიც ამ ქვეყანაში არსებობს," - განაცხადა ეკა ზღულაძემ.

მისი თქმით, რეორგანიზაციაზე საუბარი ამ ეტაპზე ნაადრევია, თუმცა არ არის გამორიცხული, მოგვიანებით, სამინისტროში გარკვეული სახის რეორგანიზაცია განხორციელდეს.

"ახალი მინისტრის წარმატება იქნება ჩემი წარმატება. მე თუ შევძლებ, რომ მას ქმედითი სამინისტრო დავუტოვო და ის თუ შეძლებს, რომ კიდევ უფრო ეფექტური გახადოს, ეს არის ის, რაც ქვეყანას სურს და, შესაბამისად, მისი წარმატება ჩემი წარმატებაა," - განაცხადა ეკა ზღულაძემ, რომლის თქმითაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი და მომავალი მინისტრებისთვის გადაბარების პროცესი დიდი გამოცდაა საქართველოს ახალი დემოკრატიისთვის. სწორედ ამიტომ, როგორც ზღულაძემ განაცხადა, შინაგან საქმეთა სამინისტრო შეეცდება, ახალ მინისტრს გადაბარების პროცესში საქმე გაუმარტივოს.

"ჩემი ვალია, რომ მაქსიმალურად გავუადვილო მას აქ მოსვლის პერიოდი და დავახვედრო ეფექტური სამინისტრო, რომელიც ქმედითია. ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული როგორც ჩემზე და თანამშრომლებზე, ასევე - ახალ გუნდზე, რამდენად კარგად გავართმევთ თავს ამ ახალ გამოცდას და იმდენად იქნება ეს წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოსთვის," - განაცხადა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა.

შეხვედრა ძალიან ნაყოფიერად და კონსტრუქციულად შეაფასა მინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

"ძალიან კარგი, კონსტრუქციული, საქმიანი და ნაყოფიერი შეხვედრა იყო. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლების გადაბარება მშვიდად და ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე მოხდება," - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ელჩების დიდი ნაწილი თანამდებობას შეინარჩუნებს

"ელჩები, რომლებიც თავიანთ მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებდნენ და სისხლის სამართლის დანაშაული არა აქვთ ჩადენილი, თანამდებობებს შეინარჩუნებენ," - ამის შესახებ, "ინტერპრესნიუსის ცნობით", საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა.

"ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ის საჯარო მოხელეები, რომელთაც არა აქვთ სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი და კეთილსინდისიერად აკეთებენ თავიანთ საქმეს, არ დატოვებენ სამსახურებს. ელჩებიც სწორედ ეს კატეგორიაა. ისინი არ დატოვებენ სამსახურებს, თუკი კორექტულად იქცეოდნენ ამ წლების განმავლობაში," - ამბობს მაია ფანჯიკიძე.

იუსტიციის მინისტრობის კანდიდატის გეგმები

თეა წულუკიანი იუსტიციის მინისტრის პოსტზე პირველ სამუშაო ვიზიტს სტრასბურგის სასამართლოში გეგმავს, - წერს საინფორმაციო სააგენტო news.ge. წულუკიანის თქმით, სტრასბურგში მის ვიზიტს ორი ძირითადი დატვირთვა ექნება.

"ათი წელი ვიმსახურე სტრასბურგის სასამართლოში. ჩემი ვიზიტის მიზანი ის არის, რომ, პირველ რიგში, სტრასბურგის სასამართლო გათავისუფლდეს გადატვირთული ქართული საქმეებისგან და მათი უდიდესი ნაწილი ჩვენთან, ქვეყნის შიგნით მოგვარდეს, ხოლო ვიზიტის მეორე მიზანია ის, რომ სტრასბურგის სასამართლოში ჩივილი უპერსპექტივო აღარ იყოს," - ამბობს თეა წულუკიანი, რომლის ინფორმაციითაც სტრასბურგში 2000-მდე საფუძვლიანი, დანარჩენი კი უსაფუძვლო საქმეა შესული.

იუსტიციის მინისტრობის კანდიდატმა გუშინვე განაცხადა, რომ პროკურატურა ამ ეტაპზე იუსტიციის სამინისტროს არ გამოეყოფა.

მისი თქმით, ორშაბათიდან ოთხშაბათამდე იგი შეხვდება დეპარტამენტების უფროსებს, რათა სამინისტროში სიტუაციას უკეთ გაეცნოს, - იუწყება news.ge.

"სამი სახის დოკუმენტი წამოვიღე მინისტრის მოადგილე თინა ბურჯალიანისგან. ერთი ასახავს ინფორმაციას ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, მათ შორის, იუსტიციის სახლების მშენებლობაზე. მეორე დოკუმენტში საუბარია სამინიტროს სტრუქტურაზე. მესამე დოკუმენტი კი არის საშტატო ნუსხა თავისი ხელფასებით. აღსანიშნავია, რომ ყველა პოზიციას, გარდა მინისტრისა და მისი მოადგილეებისა, ხელფასის ოდენობა მითითებული აქვს," - აღნიშნა წულუკიანმა.

ქდმ საბავშვო-ბაღების გადასახადის გაუქმებას ითხოვს

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" დედაქალაქის მერს მოუწოდებს, საბავშვო-ბაღებში დაწესებული გადასახადი გააუქმოს.

"ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, საკრებულოში გამართულ პრესკონფერენციაზე "ქრისტიან-დემოკრატიული" ფრაქციის წევრმა ჯაბა სამუშიამ განაცხადა, რომ მერიის ეს გადაწყვეტილება, რომელიც მან 2011 წლის აგვისტოში მიიღო, პირდაპირ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 35-ე მუხლს, სადაც მკაფიოდ არის მითითებული, რომ სკოლამდელი აღზრდა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს.

"სკოლამდელ დაწესებულებებში გადასახადების შემოღებით კომიკური სიტუაცია შეიქმნა. ბევრმა თბილისელმა გადასახადის გამო ბავშვის ბაღში მიყვანა ვერ შეძლო. დისკრიმინაციული გადაწყვეტილება იყო ისიც, რომ თბილისში ბაღის გადასახადი ზოგან 30 ლარია, ხოლო ნაწილში - 80 ლარი," - ამბობს სამუშია.

ტელეკომპანია "საქართველო" სამოქალაქო განათლების ფონდს გადაეცა

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სამოქალაქო განათლების ფონდისთვის ტელეკომპანია "საქართველოს" ლიცენზიების გადაცემაზე თანხმობა გასცა.

"ინტერპრესნიუსის" ცნობით, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ტელეკომპანია "საქართველომ" და სამოქალაქო განათლების ფონდმა ერთობლივად მიმართეს ტელეკომპანია "საქართველოს" კუთვნილი ლიცენზიების ფონდისთვის გადაცემის საკითხით.

სამოქალაქო განათლების ფონდის დირექტორია უშიშროების საბჭოს მდივნის მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილი. ამასთან ფონდის წევრებს შორის არიან კახა ბენდუქიძე, გიორგი ნოდია, გიგა ზედანია, ლევან რამიშვილი, ბექა მინდიაშვილი, დავით პაიჭაძე, ირაკლი საღინაძე, გიორგი ლიფონავა, ქეთევან დევდარიანი.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ნინო ნიჟარაძის თქმით, სამოქალაქო განათლების ფონდი ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულ პირს არ წარმოადგენს, რაზეც კომისიის წევრმა აკაკი სიხარულიძემ კითხვა დასვა - ითვლება თუ არა მეუღლე ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირად.

ნინო ნიჟარაძის განცხადებით, ფონდის წევრები არ წარმოადგენენ პირებს, რომლებსაც ეკრძალებათ მაუწყებლობის ლიცენზიის ფლობა, რადგან ისინი მომავალში ბენეფიციარი მესაკუთრეები იქნებიან.

სამოქალაქო განათლების ფონდისთვის ლიცენზიის გადასაცემად ხმის მიცემის პროცედურის დაწყებამდე კომისიის წევრმა აკაკი სიხარულიძემ განაცხადა, რომ პირველ ეტაპზე სასურველი იყო, ტელეკომპანიას ლიცენზიის საკითხი მოეგვარებინა - კერძოდ, საერთო ლიცენზია სპეციალიზებულით შეცვლოდა ან დაეკმაყოფილებინა მოთხოვნები და ბადე ახალი ამბების ფორმატით დაეტვირთა, თუმცა კენჭისყრის შედეგად, სამი ხმით ერთის წინააღმდეგ, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სამოქალაქო განათლების ფონდს ტელეკომპანია "საქართველოს" ლიცენზიების გადაცემაზე თანხმობა განუცხადა, - წერს "ინტერპრესნიუსი".

"შრომის კოდექსი" უნდა გადაიხედოს

ნინო ნარჩემაშვილი

შრომის უფლება ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება. დღეისათვის საქართველოში მოქმედი შრომის კოდექსი ძალაში 2006 წლის ივნისში შევიდა. ნათელია, რომ დასაქმებული არ უნდა აღმოჩნდეს არახელსაყრელ და არათანაბარ პირობებში დამსაქმებელთან შედარებით. შრომის კოდექსის არსებულმა ვერსიამ არ უნდა შეცვალოს შრომის კანონმდებლობის მიზანი და ის თავისი სულისკვეთებით მხოლოდ დამსაქმებლის ინტერესებს არ უნდა ითვალისწინებდეს, რაც თავისთავად იწვევს დასაქმებულთა შრომითი უფლებებისა და გარანტიების იგნორირებას.

საქართველო თავისი კანონმდებლობით ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოებას ცდილობს. ალბათ შრომის სამართლის დაახლოება უპირველესად უნდა იყოს მიჩნეული იმ საკანონმდებლო აქტების ჭრილში, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოს ინტეგრირებას მსოფლიო ეკონომიკაში და ეკონომიკურ თანამშრომლობას ევროპასთან. შრომის ბაზრის სამართლებრივი რეფორმა ყველაზე გონივრული და წინდახედული უნდა იყოს, რადგან შრომის კანონმდებლობა, ტრადიციულად, დელიკატურ და ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე დიდი ზეგავლენის მქონე სამართლის სფეროს განეკუთნება, რომლის დაბალანსებაც აუცილებელია როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ასევე სოციალური სიმშვიდის შესანარჩუნებლად.

საერთაშორისო ორგანიზაციის მიგრაციისა და განვითარების პროექტის კოორდინატორის გოჩა ალექსანდრიას განცხადებით, შრომის მოქმედი კოდექსი არანაირად არ იცავს დაქირავებულის უფლებებს. ახალი შრომის კოდექსის შექმნისას აუცილებლად უნდა მოხდეს შრომის მსოფლიო ორგანიზაციის დასკვნების გათვალისწინება. პირველ რიგში, ის მუხლი უნდა შეიცვალოს, რომელშიც დამსაქმებელს დაქირავებულის სამსახურიდან გათავისუფლების უფლებას ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე აძლევს. მისი თქმით, ეს მუხლი საზოგადოებას ბენდუქიძემ პრობლემად დაუტოვა. ასევე, აუცილებლად უნდა გაუქმდეს სამუშაო დღის უსამართლოდ გახანგრძლივების პრინციპი.

"არ შეიძლება დამქირავებელმა ადამიანის სამუშაო დრო დაგეგმილს გადააჭარბოს და ისინი 12 საათის განმავლობაში ამუშაოს. ეს სხვა არაფერია, თუ არა ექსპლუატაცია". მისი თქმით, სრულადაა შესაცვლელი კოლექტიური მოლაპარაკებების ნაწილიც, რადგან დამქირავებლებსა და თანამშრომლებს შორის არსებული პრობლემები მოლაპარაკებების გზით არ გვარდება.

შრომის კოდექსის ცვლილებას არ ეთანხმება "ახალი ეკონომიკური სკოლის" ხელმძღვანელი პაატა შეშელიძე. მისი თქმით, კოდექსიდან ისეთი მუხლის ამოღება, რომელიც დაქირავებულის ახსნა-განმარტების გარეშე განთავისუფლებას გულისხმობს, არასწორია. მისი განცხადებით, ეს ქვეყნისათვის უკან გადადგმულ ნაბიჯს ნიშნავს და ის მხოლოდ მემარცხენე საერთაშორისო ორგანიზაციების მოწონებას დაიმსახურებს. მისივე თქმით, კოდექსში ასეთი ცვლილება ინვესტიციების შემოდინებაზე უარყოფითად აისახება.

არსებული შრომის კოდექსი "გადასაგდებია", - განუცხადა "ქართული ოცნების" ოფისში ჟურნალისტებს ახალი მოწვევის პარლამენტის ეკონომიკური განვითარების კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატმა ნოდარ ხადურმა. მისი თქმით, დაიწერება ახალი კოდექსი, რომელიც ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას აღარავის მისცემს. "დაქირავებულს არანაირი უფლება არ აქვს. ჩვენ შევეცდებით, ისეთი კოდექსი მივიღოთ, როდესაც ადამიანს ერთი თვით ადრე მაინც ეცოდინება, რომ სამსახურიდან ათავისუფლებენ და ამ დროში მეორე სამსახურის მოძებნას შეძლებს," - განაცხადა ხადურმა. მისი შეფასებით, დღეისათვის საქართველოში არსებული შრომის კოდექსი, ევროპელთა შეფასებით, ქვეყანაში მონურ შრომას აკანონებს.

წინასაარჩევნო პერიოდში ტყიბულის მოსახლეობასთან შეხვედრისას კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ, მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, შრომის კოდექსი შეიცვლება და მთლიანად მორგებული იქნება მუშის ინტერესებზე. მისი განცხადებით, "შრომის

კოდექსი, რომელიც ამ ხელისუფლებამ შემოიღო, აბსოლუტურად გაუმართლებელია. იგი არა მუშის, არამედ დამქირავებლის პოზიციას იცავს, ამიტომ ისინი სურვილისამებრ ექცევიან მუშებს და ნებისმიერ დროს შეუძლიათ, სამსახურიდან დაითხოვონ. მათ აიძულებენ, რომ შესატყვისი პოზიციები დაიკავონ."

"მოგწონდეს არსებული შრომის კოდექსი, ნიშნავს, მოგწონდეს შუასაუკუნებრივი ფეოდალური ტიპის წყობა, სადაც დასაქმებულს არაფრის უფლება არ გააჩნდა," - აცხადებს გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი. მისი აზრით, შედეგი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ მსგავს დისკრიმინაციას ყველა გააპროტესტებს. მისი თქმით, სამსახურიდან დათხოვნილი ადამიანები ხშირად აკითხავენ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასაც".

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიშის მიხედვით, შრომითი უფლებები სახელმწიფო სექტორზე მეტად კერძო კომპანიებში ირღვევა. მაგალითად, კერძო სექტორში ხშირად დასაქმებულებს შვებულებაში წლების განმავლობაში არ უშვებენ, ზეგანაკვეთურად ამუშავებენ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ხოლო გაპროტესტების შემთხვევაში სამსახურიდან დაუსაბუთებლად ათავისუფლებენ. ყველაზე დიდი პრობლემა სამსახურებიდან დაუსაბუთებლად, ახსნა-განმარტების გარეშე თანამშრომლების გათავისუფლებაა.

ასოციაციაში განმარტავენ, რომ საქართველოში შრომითი უფლებების დარღვევისთვის ადამიანების დაცვის ნაკლები გარანტიებია, პრობლემებია კანონმდებლობაში, რომელიც ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში არ მოდის.

შრომის კოდექსის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. შესაბამისად, დამსაქმებელი უშუალოდ არ არის ვალდებული, დამატებითი ანაზღაურება შესთავაზოს დასაქმებულს, რაც დასაქმებულის ინტერესების შელახვისა და ამ ნორმის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას ტოვებს. არადა, ევროპის ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით, შრომის კოდექსი მინიმუმ უქმე დღის ანაზღაურების ვალდებულებას მაინც უნდა ითვალისწინებდეს.

საქართველოს შრომის კოდექსი ასევე არ აწესრიგებს მძიმე ან მავნე სამუშაოზე პირის დასაქმებისას ანაზღაურების განსაზღვრის პრინციპს, რაც ეწინააღმდეგება როგორც საერთაშორისო, ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნების შრომით კანონმდებლობას.

საია-ში აცხადებენ, რომ მიზანშეწონილია შრომით კოდექსში შემდეგი შინაარსის ნორმების მოწესრიგება: მძიმე და მავნე პირობების სამუშაოზე დასაქმებულს დამატებითი ანაზღაურება დაენიშნოს, დადგენილი ხელფასის არანაკლებ 20 პროცენტის ოდენობით.

საქართველოში პრობლემაა ისიც, რომ დამქირავებლები დაქირავებულთან ერთთვიან ხელშეკრულებას აფორმებენ. საია-ს ინფორმაციით, ხელშეკრულების ფორმის თავისუფლების პრინციპი, როგორც წესი, მოქმედებს ევროპის ქვეყნების შრომის სამართალშიც, თუმცა გარკვეული შეზღუდვებით. მაგალითად, საფრანგეთსა და ესპანეთში უვადო ხელშეკრულების დადების პრეზუმფცია განაპირობებს წერილობითი ფორმის აუცილებლობას ვადიანი და შეთავსებითი შრომითი ხელშეკრულებებისათვის.

ვადიანი ხელშეკრულება წყდება მისი ვადის ამოწურვით, შესაბამისად, დასაქმებული, ვადიანი ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ნაკლებადაა დაცული. დამსაქმებელს შეუძლია, დასაქმებულთან ხანგრძლივი შრომითი ურთიერთობის განმავლობაში დადოს მოკლევადიანი ხელშეკრულებები, რათა გვერდი აუაროს კანონმდებლობით დადგენილ დაცვით ნორმებს, ხელშეკრულების მოშლის წესსა და შეზღუდვებს. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ აღნიშნულისაგან დასაქმებულის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

შრომითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარე, დასაქმებული, როგორც პიროვნულად, ისე ეკონომიკურად, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დამსაქმებელზე. საია-ში მიიჩნევენ, რომ ამ პრინციპის გათვალისწინებით, სრულიად გაუმართლებელია შრომის კოდექსის 37-ე და 38-ე მუხლების იმგვარად განმარტება, რომ დამსაქმებელს მიენიჭოს შრომის ხელშეკრულების მოშლის უფლება ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. სპეციალისტების განცხადებით, სამართლებრივად წარმოუდგენელია, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობის დარღვევამ "ავტომატურად" გამოიწვიოს ხელშეკრულების შეწყვეტა.

აღსანიშნავია, რომ დაქირავებულთა შრომითი უფლებებით მხოლოდ ადგილობრივი ორგანიზაციები არ ინტერესდებიან. საერთაშორისო ინსტიტუტებიც ხშირად აკრიტიკებენ ქართული კანონმდებლობის აღნიშნულ ასპექტს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის გაი რიდერის შეფასებით, ქართული შრომის კოდექსი საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამოა. ორგანიზაცია ყურადღებით აკვირდება შრომით ურთიერთობებს საქართველოში და ბოლო დროს შემაშფოთებელ ინფორმაციებს იღებს.

სმარტფონების ბაზრის წილისთვის ბრძოლა SAMSUNG-მა მოიგო

თინა შავაძე

მობილური ტელეფონების მწარმოებელ კომპანიათა შემოსავლების მთავარი გასაღები დღეს სმარტფონების ბაზარი გახდა, რომლის მთავარი მოთამაშეები ამერიკული ტექნოლოგიების გიგანტი Apple-ი და სამხრეთ კორეული Samsung-ი არიან.

Apple-ი ბაზარზე iPhone-ით შევიდა და ამ სექტორის ერთ-ერთი პიონერი გახდა, მაგრამ Samsung-მა შეიმუშავა პროდუქტების ხაზი Galaxy, ოსტატურად განსაზღვრა ბაზარის ორიენტაცია და ბოლო წლებში მისი მნიშვნელოვანი წილი დაიკავა.

Galaxy-ის სმარტფონების პოპულარობამ კომპანია Samsung Electronics-ს რეკორდული მოგება მოუტანა.

სამხრეთ კორეული კომპანიის განცხადებით, ივლისი-სექტემბრის პერიოდში მან 7,3 მილიარდი დოლარის მოგება მიიღო, რაც თითქმის ორჯერ მეტია, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, - იუწყება "ბი-ბი-სი".

ამ მაჩვენებლმა Samsung-ის აქციების ფასი 1.5%-ით გაზარდა და ფინანსური ანალიტიკოსების ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

თუმცა ამ წარმატებას თან ახლავს საპატენტო ბრძოლა Apple-ისთან, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარეობს. მიმდინარე წელს Samsung-ს კალიფორნიის სასამართლომ Apple-სთვის მილიარდი დოლარის კომპენსაცია საპატენტო უფლელებების დარღვევის გამო დააკისრა.

გუშინ აშშ-ს სააპელაციო სასამართლომ Samsung-ისა და Google-ის Galaxy Nexus-ის სმარტფონების გაყიდვის აკრძალვა გააუქმა, რითიც Apple-ი ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო, - იუწყება "ბი-ბი-სი."

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, კალიფორნიის საოლქო სასამართლომ,

რომელმაც ივნისში Galaxy Nexus-ის გაყიდვების აკრძალვა დაადგინა, "დაუშვა ბორტმოქმედება, როცა აკრძალვა თავისი შეხედულებისამბერ დააწესა."

Samsung-ი მიესალმა სასამართლოს გადაწყვეტილებას და განაცხადა, რომ ეს "ადასტურებს, რომ საპატენტო კანონის მიზანია ინოვაციების დაცვა და არა კონკურენციის უსამართლოდ ჩახშობა და სამომხმარებლო არჩევანის შეზღუდვა." ამ თვის დასაწყისში, აშშ-მა ასევე გააუქმა Samsung-ის Galaxy Tab 10.1კომპიუტერების გაყიდვების აკრძალვა.

ცნობისათვის - აგვისტოს ბოლოს კალიფორნიის სასამართლომ დაადგინა, რომ Samsung-მა საპატენტო უფლების დარღვევისთვის Apple-ს 1,05 მილიარდი დოლარის ზარალი უნდა გადაუხადოს, რაც სამხერთ კორეულმა კომპანიამ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და დავა მოიგო.

"სმარტფონების ბაზარზე კონკურენტებს შორისა ბრძოლა იმდენად დიდია, რომ აქ საქმე გვაქვს არა მილიარდობით დოლარის ჯარიმის დაკისრებასთან, არამედ იმასთან, ეფექტურად როგორ შეუშალო ხელი კონკურენტებს," - განაცხადა ანალიტიკური და საკონსულტაციო ფირმის Frost & Sullivan-ის აღმასრულებელმა დირექტორმა მანოიჯ მენონმა.

ბაიდენი-რაიანის დებატები ფრედ დამთავრდა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატებმა ისაუბრეს ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკაზე. განსაკუთრებით მწვავე ის ნაწილი გამოდგა, რომელიც რუსეთის თემას შეეხებოდა. რესპუბლიკელთა კანდიდატმა თეთრი სახლის ამჟამინდელი პოლიტიკა რუსეთის მიმართულებით დაახასიათა, როგორც მცდარი და არაეფექტიანი. თუმცა როგორც შემდგომ დემოკრატების შეფასებებიდან გაირკვა, ჯო ბაიდენმა მათი იმედები გაამართლა. 69 წლის მოქმედი ვიცე-პრეზიდენტისგან მათ ის მოისმინეს, რასაც ამაოდ ელოდნენ საპრეზიდენტო კანდიდატთა დებატებზე ბარაკ ობამასგან. პირდაპირ ეთერში მაშინ ობამა ისეთი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელსაც აბსოლუტურად სხვაგან სურდა ყოფნა, ჯო ბაიდენი კი, პირიქით, ენერგიული, შემტევი და კარგად ინფორმირებული ადამიანის განსახიერება იყო. შენიშვნის სახით ერთი რამ უნდა აღინიშნოს, როგორც მოგვიანებით ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ აჩვენა, მაყურებელი ცოტა გააღიზიანა იმ ფაქტმა, რომ მოქმედი ვიცე-პრეზიდენტი სიტყვის თქმას არ აცდიდა მეტოქეს. ეს დათვალეს და შედეგები ამერიკელებს დაუყოვნებლივ ამცნეს რესპუბლიკელებმაც. მათი შეფასებით, ბაიდენმა რაიანს სიტყვა 82-ჯერ შეაწყვეტინა. რაც შეეხება რესპუბლიკელთა კანდიდატს - 42 წლის პოლ რაიანს, იგი შედარებით დამთმობი ჩანდა და ოპონენტს სიტყვის დასრულების საშუალებას აძლევდა. "ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ბუზღუნა მოხუცი თავაზიან ახალგაზრდა მამაკაცს ეკამათებოდა", - აღნიშნა შეფასებისას "Fox News"-ის სტატიანმა კომენტატორმა ბრიტ ჰიუმმა. სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ ეს უკანასკნელი სიმპათიითაა განწყობილი რესპუბლიკელების მიმართ და მათ თანაუგრძნობს. "New York Times"-ის თანახმად კი, ბაიდენი ხშირად მიმართავდა მიმიკრიას. თითქოს დარბაზს თვალს უკრავდა და იქედნურად იღიმოდა პოლ რაიანის სიტყვებზე.

რაც შეეხება დებატებზე კითხვების თანმიმდევრობას, საუბარი დაიწყო ლიბიის თემით, სადაც სექტემბერში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კრისტოფერ სტივენსი დაიღუპა. რესპუბლიკელმა კანდიდატმა დემოკრატ ოპონენტს ბრალი დასდო იმაში, რომ ადმინისტრაცია დიდი ხნის განმავლობაში იკავებდა თავს მომხდარის ტერაქტად კვალიფიცირებისგან. "პრეზიდენტს ორი კვირა დასჭირდა იმისთვის, რომ თავდასხმა ტერორისტულ აქტად ეღიარებინა. იცით რა, თუ ტერორისტები თავს დაგვესხმიან, ჩვენ მოვლენებს თავის სახელს მოვუძებნით", - განაცხადა პოლ რაიანმა. ბაიდენმა პასუხად მხოლოდ ის თქვა, რომ ადმინისტრაცია იმ ცნობებს ეყრდნობოდა, რასაც მას სადაზვერვო ორგანოები აწვდიდნენ. სიტყვიერი ბატალიებისას ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატებმა ასევე ისაუბრეს ირანისა და მისი ბირთვული პროგრამის შესახებაც. რესპუბლიკელმა კანდიდატმა აქაც შემტევი პოზიცია არჩია. მოქმედი ადმინისტრაციის გასაკრიტიკებლად პოლ რაიანმა ხელიდან არც სირიის თემა გაუშვა, რომელსაც მოხერხებულად დაუკავშირა რუსული იარაღის საკითხი და ობამას "გადატვირთვის" პოლიტიკა.

გაცილებით თავდაჯერებული და შემტევი ჯო ბაიდენი კი საშინაო პოლიტიკაზე საუბრისას აღმოჩნდა. მოქმედმა ვიცე-პრეზიდენტმა რეპსუბლიკელები ქვეყნის საპენსიო სისტემის დაღუპვის განზრახვაში დაადანაშაულა და დემოკრატების მიერ ინიცირებული კანონპროექტების სარგებლიანობაზე გაამახვილა ყურადღება.

დებატების დასრულებისთანავე ტელეკომპანია "CNN"-მა სოციოლოგიური გამოკითხვები დაიწყო, რომლის თანახმადაც გაირკვა, რომ წინასაარჩევნო კამათი თითქმის ფრედ დასრულდა. რესპუბლიკელთა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატს ამომრჩეველთა 48 პროცენტი უჭერს მხარს, ჯო ბაიდენს კი გამოკითხულთა 44 პროცენტის სიმპათია ერგო წილად. კმაყოფილება არც რესპუბლიკელებისა და დემოკრატების საარჩევნო შტაბებს დაუფარავთ. "ჩვენთვის ეს ძალიან კარგი საღამო იყო", - განაცხადა რესპუბლიკური პარტიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რაინს პრიბუსმა. "ეს ობამა-ბაიდენის კამპანიისთვის გადამწყვეტი გამარჯვებაა", - შეაჯამა დებატების შედეგები, თავის მხრივ, მოქმედი პრეზიდენტის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის მოადგილე სტეფანი კატერმა. თუმცა, როგორც სკეპტიკოსები აღნიშნავენ, ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატთა დებატები იშვიათად თუ ცვლიან საარჩევნო მარათონის დინამიკას, გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც საპრეზიდენტო კანდიდატთა მოხერხებულობას და ამომრჩეველთა დარწმუნების უნარს აქვს.

ნობელის პრემია ევროკავშირს მიანიჭეს

ᲘᲕᲐ ᲨᲘᲚᲐᲙᲐᲫᲔ

ნორვეგიის ელჩი ყოზე-მანუელ ბაროზუს პრემიას ულოცავს

2012 წლის ნობელის პრემია მშვიდობის დარგში მიენიჭა ევროკავშირს, ევროპაში მშვიდობის დასამყარებლად 60-წლიანი მოღვაწეობისთვის. ოფიციალურად ეს გაკეთდა "60-წლიანი ღვაწლისთვის მშვიდობისა და თანხმობის, აგრეთვე დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დამკვიდრებაში". განსაკუთრებით აღინიშნა ევროკავშირის როლი ვეროპის აღორძინებაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და მისი აქტიური მუშაობა სოციალისტური ქვეყნების ევროპაში ინტეგრაციისთვის ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ1989 წელს. ხაზი გაესვა ევროკავშირის ძალისხმევასაც ახალი ომების თავიდან აცილებისა და კონტინენტზე სიტუაციის სტაბილიზაციის საქმეში. ეს ძირითადად ეხება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მიმდინარე ომების შეწყვეტას და სტაბილურობის დამყარებას.

ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, ნობელის პრემიის გადაცემისთვის დრო ცოტა უცნაურად არის შერჩეული. დღეს ევროპაში ფინანსური კრიზისია, რაც ევროკავშირს ასუსტებს და მას უფრო მოწყვლადს ხდის. თუმცა, მეორეს მხრივ, პრემიის მინიჭება სწორედ ამ დროს განიხილება, როგორც მორალური დახმარება რთულ პერიოდში.

პრემია შეადგენს 1,2 მილიონ აშშ დოლარს და მისი საზეიმო გადაცემა მოხდება ოსლოში, 10 დეკემბერს - პრემიის დამაარსებლის ალფრედ ნობელის გარდაცვალების დღეს. პირველად ამ პრემიის გაცემა 1901 წელს მოხდა. იმავე დღეს მოხდება პრემიების გადაცემა ფიზიოლოგიისა და მედიცინის; ფიზიკის; ქიმიის; ლიტერატურისა და ეკონომიკის სფეროებში. გასარკვევია მხოლოდ ამ ბოლო პრემიის (ეკონომიკაში) მფლობელის ვინაობა. ეს პრემია შვედეთის ბანკის დაწესებულია და ლაურეატის ვინაობას 15 ოქტომბერს დაასახელებენ.

ნობელის კომიტეტის ხუთივე წევრი ერთსულოვანი იყო გადაწყვეტილების მიღებისას. ნორვეგიულმა ტელეკომპანია "NRK"-მ კი საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით ჟიურის გადაწყვეტილება ოფიციალურ გამოცხადებამდე ერთი საათით ადრე ამცნო მაყურებელს.

კოლეგიის ხელმძღვანელმა, ვისაც უნდა გადაეწყვიტა ლაურეატის ვინაობა, ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ტორბიერნ იაგლანდმა განაცხადა, რომ ევროკავშირი დაგვეხმარა, "ევროპა გადაგვექცია ომის კონტინენტიდან მშვიდობის კონტინენტად". მანაც აღნიშნა, რომ ევროკავშირი ამჟამად რთულ მდგომარეობაშია, აწყდება ფინანსურ პრობლემებს და სამოქალაქო უკმაყოფილებას. მან თავის სიტყვაში ასევე განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი ორგანიზაციის მუშაობას ომისშემდგომ პერიოდში გერმანიასა და საფრანგეთს შორის თანამშრომლობის განმტკიცებაში.

თავის მხრივ, ევროპარლამენტის თავმჯდომარემ მარტინ შულცმა განაცხადა, რომ "შეძრულია" ჯილდოთი და ეს მისთვის დიდი პატივია.

ბოლო ორგანიზაცია, რომელმაც ეს ჯილდო მიიღო, იყო "ექიმები საზღვრებს გარეშე" - 1999 წელს.

წელს სიაში 231 პრეტენდენტი იყო, მათ შორის რამდენიმე საკმაოდ უცნაური და ოდიოზური კი (ნაზარბაევი, ოტუნბაევა და სხვა). მიმომხილველები ლიდერებს შორის წინასწარ ასახელებდნენ ამერიკელ პოლიტოლოგ ჯინ შარპს. ის არის უსისხლო რევოლუციების საკვანძო პრინციპებისა და სტრატეგიის ერთ-ერთი შემქმნელი და არაბული გაზაფხულის იდეოლოგი. სიაში წამყვან ადგილზე იყო ბრედლი მენინგი - ამერიკელი სამხედრო, რომელმაც "ვიკილიკსს" აშშ-ს საიდუმლო დოკუმენტები გადასცა და რომელიც, შეიძლება, სიკვდილით დასაჯონ; მეგი გორბანი - "ეგვიპტელი დედა ტრეზა"; არაბული გაზაფხულის ბლოგერები, აგრეთვე ადამიანის უფლებათა დამცავი რუსული ორგანიზაციები.

ევროკავშირისთვის პრემიის მინიჭება გააპროტესტეს ევროსკეპტიკოსებმა, აგრეთვე ექსპერტებისა და თვით სავარაუდო ლაურეატების ნაწილმაც. მათ შორის იყო თვით უხუცესი რუსი ადამიანის უფლებათა დამცველი, "მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის" ხელმძღვანელი ლუდმილა ალეკსეევაც. მან ციინიკურად ივარაუდა, რომ ობამასა და ევროკავშირის შემდეგ იქნებ პრემია "თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციისთვისაც" მიენიჭებინათ?

ემუქრება თუ არა საფრთხე თურქეთ-რუსეთის ურთიერთობას?

11 ოქტომბერს თურქეთის მიერ სირიის ავიაკომპანიის კუთვნილი სამგზავრო თვითმფრინავის ანკარაში იძულებით დასმას არაერთი ცნობილი გამოცემა ეხმაურება. თურქულმა ავიაგამანადგურებლებმა მოსკოვიდან დამასკოში მიმავალი თვითმფრინავი აიძულეს, ანკარაში დამჯდარიყო. თურქეთის რწმუნებით, ამ რეისით სირიაში სამხედრო ტექნიკა გადაჰქონდათ (ამის შესახებ გუშინ ვრცლად წერდა "24 საათი"). მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის პრემიერმა მაშინვე გააკეთა განცხადება, რომ ეს "ინციდენტი ამ ეტაპზე მოსკოვი-ანკარას ურთიერთობებზე" არ იმოქმედებს, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის შეცვალზე საუბარი მაშინვე დაიწყეს. გადაიდო 14-15 ოქტომბერს თურქეთში დაგეგმილი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ვიზიტიც.

"უოლ სტრიტ ჯორნალს" მოჰყავს თურქეთის პრემიერ-მინისტრ ერდოღანის განცხადება, რომლის თანახმადაც თვითმფრინავით სამხედრო ტვირთი გადაჰქონდათ. "სირია და რუსეთი შეშფოთებულები არიან ამ ბრალდებით, დიპლომატიური კონფლიქტი ღრმავდება," - აღნიშნავს გამოცემის ჟურნალისტი ჯო პაკრინსონი. თურქეთის ხელისუფლებამ ტვირთის კონფისკაცია მოახდინა. ამერიკამ თურქეთის ამ ნაბიჯის მხარი დაუჭირა.

ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის სრულმასშტაბიან დიპლომატიურ კრიზისს ადგილი არ ექნება, იქიდან გამომდინარე, რომ ორივე მხარე სავაჭრო და სტრატეგიულ ურთიერთობას გაუფრთხილდება. თუმცა, თურქი დიპლომატის სინან ულგანის მოსაზრებით, "არსებობს რისკი, რომ მომხდარი თურქეთისა და რუსეთის ურთიერთობას სერიოზულ დარტყმას მიაყენებს."

"სირიის კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების საზღვრებს სცდება: თურქეთის მიერ ანაკრაში ძალით დასმული თვითმფრინავის შემთხვევამ პუტინსა და ერდოღანს შორის არსებული სამოკავშირეო ურთიერთობა ერთ წამში გაანადგურა," - წერს "შპიგელი". თუმცა გერმანული გამოცემის ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ თურქეთ-რუსეთის ურთიერთობის გაუარესებას თურქეთის პოლიტიკური ამბიციებიც უწყობს ხელს: "თურქეთს აშკარად არ ხიბლავს ის ფაქტი, რომ რუსეთი ახლო აღმოსავლეთში ახალ მოკავშირეებს ეძებს," - წერენ რანია სალოუმი და ბენიამინ ბიდერი. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ მოსკოვმა ერაყს 4,3 მილაირდი დოლარის ღირებულების სამხედრო აღჭურვილობა მიჰყიდა.

"სირიის ომის გავითარება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვინ აღმოჩნდება უკანასკნელ კონფლიქტში მართალი. თუ იმ თვითმფრინავის ბორტზე, რომელიც აიძულეს, ანკარაში დაფრენილიყო, სამხედრო ტექნიკა არ აღმოჩნდება, მაშინ თურქეთი პროვოკატორად წარმოჩინდება, რომელიც სირიაში სამოქალაქო ომის აქეზებს," - წერს Der Standard-ის მიმომხილველი მარკუს ბერნატი. თუმცა, თუ რუსეთმა მართლაც საიდუმლოდ დატვირთა თვითმფრინავის ბორტი შეიარაღებით, მაშინ მას ამის მოუწევს ახსნა, - ამატებს ბერნატი.

ბოლო მონაცემებით, თურქეთმა ტვირთის კონფისკაცია მოახდინა და თვითმფრინავმა გზა გააგრძელა, თუმცა გუშინ რუსეთის საგარეო უწყება პროტესტს გამოთქვამდა იმის გამო, რომ დაკავებული ტვირთის თაობაზე თურქული მხარისგან ინფორმაცია ოფიციალურად ჯერ არ ჰქონდათ მიღებული.

ბრიტანელი საზღვაო-ქვეითები ავღანელის მკვლელობის გამო დააკავეს

დიდ ბრიტანეთში 7 საზღვაო ქვეითი დააკავეს, რომლებიც ავღანეთში მივლინების დროს მკვლელობაში არიან ეჭვმიტანილნი. ბრიტანეთის თავდაცვის უწყების ცნობით, დაკავება 2011 წლის ინციდენტის საფუძველზე მოხდა, როდესაც მესამე სამეფო სამხედრო-საზღვაო ბრიგადა გილმენდის პროვინციაში იყო განლაგებული. "ბი-ბი-სის" ცნობით, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ბრიტანელ სამხედროებს ავღანეთის კონფლიქტის დროს მკვლელობის ჩადენაში ეჭვმიტანილობის გამო აკავებენ. "გამოძიება გაგრძელდება. მას სამხედრო იუსტიციის ორგანოები ჩაატარებენ," - განაცხადა ქვეყნის თავდაცვის უწყების პრესატაშემ.

"ჰეზბოლამ" ისრაელისკენ უპილოტოების გაშვებაზე პასუხისმგებლობა აიღო

ლიბანში ბაზირებული რადიკალური ისლამისტური მოძრაობის ლიდერმა შეიხმა ჰასან ნასრალამ გუშინ აღიარა, რომ წინა კვირაში ისრაელის თავზე ჩამოგდებული უპილოტო თვითმფრინავი მათი გაშვებული იყო. მან თქვა, რომ აპარატი ირანშია წარმოებული და ლიბანშია აწყობილი. ნასრალას სიტყვებით, ეს არ არის მათ მიერ უპილოტო საფრენი აპარატების ისრაელისკენ გაშვების არც პირველი და არც ბოლო შემთხვევა და მათი მიზანია ისრაელის მგრძნობიარე ობიექტების შესწავლა. ის, რომ ჰეზბოლას უკან ირანი და სირია დგანან, ყველასთვის ისედაც ცნობილია, მაგრამ ჰასან ნასრალა ღიად ძალიან იშვიათად აღიარებს, რომ ის ამ ქვეყნებისგან სამხედრო დახმარებასაც იღებს. მან თქვა, რომ ჰეზბოლა მსგავს სადაზვერვო საქმიანობას გააგრძელებს. თვითმფრინავი აფრინდა ლიბანის სამხრეთ ნაწილიდან, იფრინა ხმელთაშუა ზღვის თავზე და შემდეგ მოუხვია ისრაელისკენ. სავარაუდოდ, მისი მიზანი ქალაქ დიმონის მახლობლად მდებარე ისრაელის ატომური რეაქტორი იყო. უპილოტო თვითმფრინავი მიწაზე განლაგებულმა ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებებმა შენიშნეს. ისრაელმა სასწრაფოდ აუშვა ჰაერში ავიაგამანადგურებლები, რომლებმაც ჯერ გარშემო შემოუფრინეს უპილოტო თვითმფრინავს და შემდეგ ჩამოაგდეს. სადაზვერვო აპარატმა მოასწრო ისრაელის საჰაერო სივრცეში 55 კილომეტრის ფრენა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, აქამდე ისრაელმა სამჯერ დააფიქსირა მსგავსი შემთხვევა. გუშინ ისრაელის პრემიერმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ისრაელი ყოველთვის დაიცავს საკუთარ საზღვრებს და ჩამოაგდებს მტრის ყველა საფრენ აპარატს, როგორც ეს წინა კვირაში გააკეთა.

მოამზადა თამთა კახაძემ

ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲔᲠᲘᲣᲛᲘ - 2012

5 ოქტომბერიდან მიმდინარეობს
საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი, სიონის 8,
18:00 - "არტისტერიუმი 2012"-ის გახსნა.

6 ოქტომბერიდან მიმდინარეობს
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ჭანტურიას 8,
12:00 - "Nine Dragon Heads" (სამხრეთ კორეა), საერთაშორისო საგამოფენო პროექტის პრეზენტაცია;
14:00 - გალერეა "Y"-ის პრეზენტაცია, მინსკი, ბელორუსია;
16:00 - "ბანერები და დღიურები", პოლონურ-ბელორუსული საგამოფენო პროექტი;
18:00 - ვიტალი კომარის საჯარო ლექცია /"კომარი და მელამიდი"/, აშშ.

7 ოქტომბერიდან მიმდინარეობს
აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი, ცაბაძის 6,
14:00 - "ჯვარედინი დამტვერვა", ლორა სენსონი /აშშ/, "ქართული ტექსტილის ჯგუფი", "ლურჯი სახლი" /საქართველო/, ერთობლივი პრეზენტაცია-ვორკშოფი;
გალა გალერეა, ათონელის 27,
19:00 - "ცა - 24 საათი", კოტე სულაბერიძის პერსონალური გამოფენა.

8 ოქტომბერიდან მიმდინარეობს
საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი, სიონის 8,
13:00 - "განსხვავებები: ადამიანები პრობლემებით", Ghana ThinkTank-ის ვორკშოფი;
15:00 - იარო სლეპს, ჰიპ ჰოპი - ტექსტი/ტემპი, ვორკშოფი, აშშ;
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, გრიბოედოვის 22,
14:00 - კენეტ ჰიუ, ლექცია/მასტერკლასი, დიდი ბრიტანეთი;
17:00 - "სამყურა", საერთაშორისო საგამოფენო პროექტი, ირლანდია, საქართველო, სომხეთი, პორტუგალია, საბერძნეთი;
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზი, გუდიაშვილის 7,
19:00 - საშა ჭავჭავაძე, "ტანსაცმელი რევოლუციისთვის", ლადო ფოჩხუა, "წიგნი ახალი ქართული
არისტოკრატიისთვის", აშშ.

9 ოქტომბერიდან მიმდინარეობს
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, გრიბოედოვის 22,
14:00 - ჯოანა ფოიტიგის და ლორა ლაზერის ლექცია/ვორკშოფი საჯარო ხელოვნების მეთოდოლოგიის შესახებ, აშშ; გოეთეს ინსტიტუტი, ზანდუკელის 16,
17:00 - "ზებრა", პოეზიაზე შექმნილი ფილმების ფესტივალის პრეზენტაცია, ტომას ვოლფარტი /გერმანია/; რუსთაველის თეატრი, რუსთაველის გამზირი 17;
20:00 - "საწყისში დაბრუნება", მარია საფრონოვა /რუსეთი/, ალექსანდრე ჩინჩალაძე /საქართველო/.

10 ოქტომბერიდან
ბამბის და რკინის რიგის კუთხე, კინოს მოედანი,
19:00 - "მსხვერპლშეწირვა - სტატიკური დრამა", გიორგი ჯანიაშვილი, დავით ჯანიაშვილი.

12 ოქტომბერიდან მიმდინარეობს
"სვლა", სარა პელერენ-ოტ, გიომ შოსონ, საფრანგეთი, პერფორმანსი ტექსტით და მუსიკით, ორგანიზებული ფრანგული ინსტიტუტის მიერ, /ადგილი და ზუსტი დრო გამოცხადდება არტისტერიუმის მსვლელობისას/

13 ოქტომბერი, შაბათი
ელიავას ბაზრობის ტერიტორია,
14:00-18:00 - "აღმოაჩინე ელიავა: სტრიტვაიზ - ღია სახლი", ერთდღიანი ფესტივალი, ადგილ-სპეციფიკური
ინსტალაციები, პრეზენტაციები, აშშ/საქართველო;
15:00 - Ghana ThinkTank, "განსხვავებები: ადამიანები პრობლემებით", ინეტრაქტიული სკულპტურა/პერფორმანსი;
17:00 - ჰიპ ჰოპ პერფორმანსი, იარო სლეპს/ირაკლი მაღრაძე.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲙᲔᲠᲞᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

სადღაა ჩემი თავისუფლება?"- ამბობს ილიას უნივერსიტეტის სტუდენტი ლევან ინაური, რომელმაც უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსზე პირველი ადგილი მოიპოვა. საკონკურსო თემა წინასწარ გამოცხადდა: სტუდენტებს უნდა შეექმნათ მხატვრული ტექსტი ბიბლიური ოქროს კერპის თანამედროვე ვარიაციის თემაზე ნებისმიერ ფორმასა და ჟანრში და რაც კონკურსს კიდევ უფრო ორიგინალურობას ანიჭებდა, უნდა ყოფილიყო თანაავტორთა ნამუშევარი. კონკურსის ორგანიზატორმა პოეზიის კლუბმა და მისმა ხელმძღვანელმა, პროფესორმა ცირა ბარბაქაძემ, მას "ორი ხელით დაწერილი ტესტების" კონკურსი უწოდა.

ნათია იმერლიშვილმა და ალექსანდრე ქევხიშვილმა თანამედროვე ოქროს კერპის ალუზია სოციალურ ქსელ "ფეისბუქში" დაინახეს, დავით კამკამიძემ და თათია კობიძემ კი სიმბოლო კიდევ უფრო მეტად განაზოგადეს ოქროს კერპად პოეტური ტექსტის ლირიკული გმირი - ბრბო შემოგვთავაზეს. სტუდენტები სრულიად დამოუკიდებლად მუშაობდნენ, თუმცა კი მათ ტექსტებში ერთი საერთო ხაზი მაინც გამოიკვეთა - საზოგადოება ადგენს კანონებს და საზოგადოება ქმნის კერპებსაც, რომლის დასამსხვრევად ინდივიდებს ძალა აღარ ჰყოფნით, ანდა მზად არ არიან. საფინალო ყველა ტექსტში მტკივნეულად იდგა არჩევანის თავისუფლების თემა და თუმცა ეს ლიტერატურული კონკურსი იყო, კარგად გამოჩნდა, თუ რა აწუხებთ და აფიქრებთ ახალგაზრდებს თანამედროვე, დემოკრატიულ სამყაროში.

ტექსტებისათვის პრიორიტეტების მინიჭებისას, ჟიურის თავმჯდომარემ გიგი თევზაძემ ერთი რამ აღნიშნა: "თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას ორი რამ აკლია - არ ხდება სიუჟეტის დამუშავება და არ არის ნარატივი. ილიაუნის კონკურსების მიზანი ისაა, ხელი შეუწყოს იმის გაქტიურებას, რაც გვაკლია". ამ პრინციპით აირჩა გამარჯვებული წყვილებიც, თუმცა კი, ყველა ტექსტი ჟიურის წევრთა მაღალ შეფასებას იმსახურებდა. ამ მიზნითვე დააფუძნა ილიას უნივერსიტეტმა კონკურსი საუკეთესო რომანისათვის, რომელიც წელს მესამედ ჩატარდება.

"ორი ხელით დაწერილი ტექსტების კონკურსი" ორ ეტაპად ჩატარდა. პირველი ემსახურებოდა შერჩევას, იმის საილუსტრაციოდ, რომ ყველა მონაწილე შემოქმედებითად თანაბრადაქტიური იყო, შემდეგ კი შეირჩა წყვილები. მხატვრულობის ხარისხის მიხედვით დასახელდა ათი მონაწილე, რომელთაც უკვე საკონკურსო თემა ეცნობათ. ფინალში 5 ტექსტი იყო წარმოდგენილი, საიდანაც ჟიურის პირველი და მეორე ადგილის მფლობელი და ერთიც ნომინაცია "ყველაზე მხატვრული ნაშრომი" უნდა გამოევლინათ.

"ორი ხელით დაწერილი ტექსტების" კონკურსი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა, თუმცა კი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სტუდენტთა ლიტერატურული კონკურსები ყოველწლიური მოვლენაა, რაც პოეზიის სასწავლო კურსის ნაწილია.

"მსგავსი კონკურსები ცოდნის მიღების ერთგვარი ფორმაა, რომელიც სტუდენტს აძლევს სტიმულს, მეტი წაიკითხოს, მოძებნოს ჟანრები, და შემოქმდებით აზრს შესაბამისი ფორმა მოუძებნოს. პოეზიის სასწავლო კურსი გრძელდება და კონკურსებიც სხვადასხვა კვლევაც ჩატარდება. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ვერბალურისა და ვიზუალურის გაერთიანება და პოეზიის პერფორმანსული წარმოდგენა. ამგვარი კონკურსი სიახლეა ჩვენს სივრცეში, თუმცა კი მისი შემოტანა დაგვიანებულიც კია. პოეზია, კლასიკური საგნებისაგან განსხვავებით იძლევა იმის საშუალებას, არასტანდარტული ფორმით მიაწოდო ცოდნა. ასევე თავისუფალი ფორმით ვთავაზობ მათ რიტორიკის შესწავლასაც. პოეზიაც და რიტორიკაც საკუთარი თავის შემეცნებას ემსახურება, რაც მუდმივი ძიების პროცესია."- გვითხრა კონკურსის ორგანიზატორმა, პროფესორმა ცირა ბარბაქაძემ.

ძიების პროცესის საუკეთესო დამხმარე და მასტიმულირებელი კი, სწორედ კონკურსებია, არა შეჯიბრის ფორმატის გამო, არამედ საკუთარი თავის გამოცდის გამო.

გასულ წელს ჩატარებული კონკურსი საუკეთესო აზრებისათვის წესრიგისა და თანასწორობის თემაზე ჩატარდა, წელს ილიას უნივერსიტეტში სიახლეა სწალების ფორმის თვალსაზრისით. ესაა result-სილაბუსები, რაც კვლევაზე დაფუძნებულ სწავლების ფორმას გულისხმობს. სტუდენტები 12-კაციან კვლევით ჯგუფებად იყოფიან და საგნის ფარგლებში ეძლევათ პროექტი განსახორციელებლად. ისინი სარგებლობენ ვიდეოლექციებით, ვერბალური მასალით, ლიტერატურით. აქვთ საინფორმაციო შეხვედრები. ითვლება, რომ ამგვარად შეძენილი ცოდნა უფრო მყარია, ვიდრე პასიურად მიღებული ინფორმაცია. საუნივერსიტეტო განათლების თანამედროვე სისტემა აგებულია იმაზე, სასწავლო პროცესიდან ახალგაზრდებმა სიამოვნებაც მიიღონ და ნაკლებად იყვნენ ორიენტირებულნი შეფასების ქულებზე. რასაკვირველია, შეფასების მომენტიც თავისთავად დგება, მაგრამ დამეთანხმებით, შიში იმის გამო, "ვაიმე რა ქულას მივიღებ", განსხვავდება "ვაიმე რას გავაკეთებ". ამგვარი მეთოდი არსებითად ცვლის სტუდენტის დამოკიდებულებას საგნის მიმართ. ახალგაზდრული სნეულებანი - ამბიცია, დაბნეულობა, სიზარმაცე, კვლავაც იქნება, მაგრამ სწავლების თანამედროვე სისტემა მას ერთ და მთავარ კომპონენტს ამატებს - დასნეულება ცოდნის ძიებით.

GEOLIBTV-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ

12 ოქტომბერს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ლიტერატურულ კონკურს "თაობები-2012"-ის გამარჯვებულების დაჯილდოება გაიმართა. გამარჯვებულად გამოცხადდა ნაწარმოები, რომელმაც Facebook-ში GeolibTV-ის გვერდზე ყველაზე მეტი მოწონება დაიმსახურა. ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულ მონაწილეებს, ზაზა სუყაშვილსა და მარიამ შოვნაძეს ჯილდო 50-50 ლარი უცხოეთში მცხოვრებმა ქართველმა მზია თვალაბეიშვილმა გადასცა.

ზაზა სუყაშვილი და მარიამ შოვნაძე

"თაობები" ეროვნული ბიბლიოთეკის ინტერნეტტელევიზია GeolibTV და ლიტერატურულ ფორუმ "ებლიტფოს" ლიტერატურული კონკურსთა ციკლის ნაწილია. ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის, გიორგი კეკელიძის თქმით, ეს იქნება, პირველ რიგში, მკითხველთა კონკურსები, რაც შემადგენელი ნაწილია იმ საბიბლიოთეკო აქციებისა, რომელიც ითვალისწინებს მკითხველის წახალისებას და ყურადღების მიპყრობას ბიბლიოთეკისკენ.

"გადავწყვიტეთ, პირველი კონკურსი ჩაგვეტარებინა სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის (ბაკალავრები, მაგისტრანტები), რადგან სწორედ ისინი არიან განათლების მიღების ყველაზე აქტიურ ფაზაში და ჩვენი სურვილია, მათი ინტერესი სულ უფრო მეტად მივმართოთ ეროვნული ბიბლიოთეკისკენ. მეორე მხრივ, ვფიქრობთ, რომ ეს კონკურსი გვაჩვენებს, რა პროცესები მიმდინარეობს ახალგაზრდა ლიტერატორებში, რაზე წერენ ისინი და როგორ. ბოლო დროს ახალგაზრდების მიერ შექმნილი მხატვრული ტექსტები სულ უფრო მეტად ემსგავსება ბლოგის ჩანაწერებს - სიუჟეტის განვითარების გარეშე მოთხრობილ ყოველდღიურ ამბებს. ვნახოთ, შეძლებენ თუ არა ისინი მხატვრული ნაწარმოებები შემოგვთავაზონ", - გვითხრა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა.

25 აგვისტოდან 30 სექტემბრამდე კონკურსში მონაწილეობის მსურველებს ნაწარმოებები უნდა გაეგზავნათ ინტერნეტ-ფოსტით, რომელიც ქვეყნდებოდა ეროვნული ბიბლიოთეკის შესაბამის საიტზე და სოციალური ქსელის - "ფეისბუქის" გვერდზე, სადაც განთავსდა კიდეც საკონკურსო ნაწარმოებები სადისკუსიოდ და შესაფასებლად. გამარჯვებული ე.წ. "მოწონების" დახმარებით გამოვლინდა. გამარჯვებულებს ეროვნული ბიბლიოთეკა მოუწყობს საავტორო საღამოს და მიუძღვნის სატელევიზიო გადაცემას.მართალია, საკონკურსო ფონდი მცირეა, მაგრამ ეროვნული ბიბლიოთეკა ის ინსტიტუტია, რომლისგან პრემიის მიღება პრესტიჟულიცაა და თავმოსაწონებელიც.

24 საათი

დასანანი ფრე

პირველი გვერდიდან

თარგამაძემ და კანკავამ მეტოქეს ბევრი პრობლემა შეუქმნეს

უკმარისობის გრძნობა ვახსენეთ და უნდა ითქვას, რომ ეს, პირველ რიგში მხოლოდ შედეგს ეხება, რაც შეეხება თავად თამაშს, ქეცბაიას შეგირდებმა ისე ითამაშეს, როგორც ალბათ, გასვლით მატჩში აქამდე არც უთამაშიათ. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ, რომ ნაკრებში თემურ ქეცბაიას მოსვლის შემდეგ "ჯვაროსნები" ყველა საგარეო მატჩს მეორე ნომრად თამაშობენ და პირველ რიგში, საკუთარი კარის მშრალად შენახვაზე ზრუნავენ. ეგ კი არა და საშინაო მატჩების უმეტესობაშიც ქართველი ფეხბურთელების ნომერ პირველი ამოცანა სწორედ გოლის არგაშვება გახლავათ.

ალბათ, ჰელსინკურ მატჩშიც დაახლოებით ასეთი სურათის ხილვას ველოდით, თუმცა გუშინ საღამოს გამართულმა შეხვედრამ ერთი მეტად საინტერესო ტენდეცნია დაგვანახა. საქართველოს ნაკრები ყოველ მატჩში უმატებს და წინ მიდის. თემურ ქეცბაიამ ამჯერად გუნდი მეორე ნომრად არ ათამაშა. მეტიც ეპიზოდებში საქართველოს ნაკრებმა საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთი აჩვენა.

შეხვედრის პირველ წუთებში გარკვეულ ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, თუმცა პირველი ტაიმის შუაწელში ქართველებმა თამაში გაათანაბრეს და უპირატესობასაც დაეუფლნენ. პირველი 45 წუთის ბოლო რამდენიმე წუთი კი ჩვენი გუნდის შესრულებით ულტრა თანამედროვე ფეხბურთი ვიხილეთ. ქართველმა ფეხბურთელებმა პრესინგს მეტოქის საჯარიმოსთან მიმართეს. ფინელები, რის ვაივაგლახით ახერხებდნენ ბურთის ამოტანას ცენტრამდე. სამწუახროდ ასეთი რამ ჯერჯერობით საქართველოს ნაკრების თამაშში ეპიზოდურად ხდება. მთელი 90 წუთის განმავლობაში ქეცბაიას გუნდს ჯერ არ ძალუძს ერთნაირად მაღალ დონეზე თამაში და ჩავარდნებიც არსებობს.

თუ პირველი ტაიმი მეტნაკლებად თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, შეხვედრის მეორე ნახევარში ქეცბაიას შეგირდების უპირატესობა აშკარად გამოიკვეთა. ფინელებმა კი მეორე ნომრად დაიწყეს თამაში და კონტრშეტევების იმედად იყვნენ. სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ კაშიას გოლამდე მეტად სახიფათო მომენტი რევიშვილის კართანაც შეიქმნა, თუმცა ქეცბაიას ნაკრებს აშკარად გაუმართლა. 55-ე წუთზე კი საქართველოს ნაკრებმა კუთხურის ჩაწოდების უფლება მოიპოვა, რასაც ფინელების დაცვის უხეში შეცდომა და კაშიას გოლი მოჰყვა. რამდენიმე წუთში ქართველთა უპირაიტესობა კიდევ უფრო სოლიდური გახდა, მეორე ყვითელი ბარათის მიღების გამო მინდვრიდან ფინელთა ლიდერი ალექსანდრ ერემენკო გააძევეს, თითქოს ამის შემდეგ ჩვენ ბიჭებს თამაში იოლად უნდა მიეყვანათ გამარჯვებამდე, სამწუხაროდ ასე არ მოხდა. ქეცბაიამ ცვლილება განახორციელა. ფორვარდ მჭედლიძის ნაცვლად მინდორზე დევდარიანი შემოვიდა. გუნდმა გადაწყობა ვერ მოასწრო და დაცვაში დაშვებული შეცდომის გამო ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა გოლი გაუშვა.

რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილმა ფინელებმა შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინეს. ჰამალაინენმა კი ანგარიშის გათანაბრება შეძლო. აქ არ შეიძლება არ ითქვას ზურაბ ხიზანიშვილისა და ნუკრი რევიშვილის შეცდომებზე. საქართველოს ნაკრების ყველაზე გამოცდილ ფეხბურთელს უდროო დროს დაუსრიალდა ფეხი, რევიშვილმა კი ისეთი მახვილი კუთხიდან გაუშვა გოლი, რომ ასეთი გოლები არ უნდა გადიოდეს.

ასეა თუ ისე, ფინელებმა ანგარიში გაათანაბრეს და ჩვენს გუნდს თამაშის მოსაგებად კიდევ მთელი 25 წუთი რჩებოდა. ფინელთა კართან რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტიც შეიქმნა, თუმცა ფორტუნამ ზურგი გვაქცია. ბურთი პრინციპულად აღარ შედიოდა ფინელთა კარში, სუომის კარის დარაჯი მაონპია კი სასწაულებს სჩადიოდა. მან რამდენჯერმე აშკარა გოლისგან იხსნა საკუთარი გუნდი, რამდენიმე ეპიზოდში კი ჩვენს ფეხბურთელებს ოსტატობა არ ეყოთ.

ფაქტი ერთია, საქართველოს ნაკრებმა გასვლით მატჩში ქულა აიღო. ფინეთის ნაკრები ხელწამოსაკრავი გუნდი ნამდვილად არ გახლავთ. ჰელსინკში საფრანგეთის ნაკრებმაც რის ვაივაგლახით მოიგო და ფინელებთან გასვლაზე ჩვენი ჯგუფის ყველა გუნდს გაუჭირდება თამაში.

ასე, რომ ეს ქულა ქეცბაიას გუნდის აქტივში უნდა ჩაიწეროს. კიდევ უფრო მეტი აქტივი კი თავად თამაშია.

ყველას მშვენივრად ესმის, რომ 2010 წლის მუნდიალზე საქართველოს ნაკრებს მოხვედრის შანსი თითქმის არ აქვს, რა თქმა უნდა, სასწაულზე ოცნების უფლება გვაქვს, მაგრამ მოდით სასწაულზე ოცნებასთან ერთად რეალობაც შევაფასოდ. რეალობა კი ისაა, რომ ეს შესარჩევი ციკლი ქეცბაიამ 2016 წლის ევროპის პირველობის შესარჩევი ციკლის სამზადისად უნდა გამოიყენოს, ამ მხრივ კი გუშინდელი მატჩი სამაგალითოდ შეიძლება მივიჩნიოთ. თუ აქამდე საქართველოს ნაკრები, პირველ რიგში, დაცვით თამაშზე აკეთებდა აქცენტს, გუშინ ნათლად დავინახეთ, რომ ქეცბაიას ახალგაზრდულ გუნდს საკმაოდ დიდი შემტევი პოტენციალი გააჩნია. გამოჩნდა, რომ საქართველოს ნაკრებს შემტევი ფეხბურთის თამაშიც შეუძლია. თუმცა ,როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერჯერობით "ჯვაროსნები" მხოლოდ ეპიზოდურად აჩვენებს თანამედროვე, მაღალი დონის ფეხბურთს. პროგრესი იგრძნობა და იმედი ვიქონიოთ, მომდევნო მატჩებში ასეთი ეპიზოდები სულ უფრო მეტი იქნება.

16 ოქტომბერს საქართველოს ნაკრები მორიგ მატჩს გამართავს. ამჯერად გასვლაზე ბელორუსის გუნდთან. ეს კიდევ ერთი ტესტი იქნება ქეცბაიას გუნდისთვის. ბელორუსი აშკარად ფინეთზე ძლიერი გუნდია და მინსკში ჩვენს ბიჭებს საკმაოდ რთული მატჩი ელით.

2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

I ჯგუფი

12. 10. 2012 ჰელსინკი. ოლიმპიური სტადიონი

ფინეთი - საქართველო 1:1 (0:0)

გოლები: 0:1 კაშია (55), 1:1 ჰამალაინენი (63)

გაძევება: ა.ერიომენკო (59)

ფინეთი: მაენპია, მოისანდერი (კ), ოიალა, რ.ერემენკო, პუკი (ჰეტემაი 62), სპარვი, ურონენი, რინგი, ა.ერემენკო, ჰიამიალიანენი, რაიტალა.

მწვრთნელი: მიკსუ პაატელაინენი

საქართველო: რევიშვილი, გრიგალავა, კაშია, ამისულაშვილი, ხიზანიშვილი, კანკავა (კ), დაუშვილი, კობახიძე, თარგამაძე (ყენია 81), ოქრიაშვილი (ანანიძე 67), მჭედლიძე (დევდარიანი 59).

მწვრთნელი: თემურ ქეცბაია

რონალდო: "ესენი დაბრუნებას მაიძულებენ"

ლეგენდარულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ხუმრობით განაცხადა, რომ თუ ბრაზილიის ნაკრებმა თამაში ვერ გააუმჯობესა, ის იძულებული გახდება, ფეხბურთში დაბრუნდეს.

"ფიფას რეიტინგში მე-14 ადგილზე ვართ, ეს კატასტროფაა, ბრაზილიის ფეხბურთის ისტორიაში ასე დაბლა არ დავშვებულვართ. ჩვენს ფეხბურთს რთული პერიოდი უდგას. თუმცა, მუნდიალი ბრაზილიაში იმართება და ეს ყველასთვის დიდი სტიმულია. ვფიქრობ, ეს ფაქტორი ბრაზილიის ნაკრებზე დადებითად იმოქმედებს. თუ არა და, ისღა დამრჩენია, ფეხბურთში დავბრუნდე და ნაკრებს ვუშველო", - ხუმრობს რონალდო.

მოურინიო კასილასს უტევს

როგორც ჩანს, ჟოზე მოურინიოს "რეალიდან" კასილასის მოცილება სურს. "რეალში" მისვლის დღიდან მოურინიო "სამეფო კლუბის" ურყევ ავტორიტეტებს ებრძვის. "მისტერ განსაკუთრებულმა" გუნდიდან რაული და გუტი გაუშვა. შემდეგ კლუბის სპორტული დირექტორის პოსტიდან ხორხე ვალდანო მოიცილა. ახლა იკერ კასილასზე მიდგა ჯერი. საქმე ის არის, რომ კასილასს კარგი ურთიერთობა აქვს "ბარსას" ფეხბურთელებთან. "რეალის" მეკარე ამას არც მალავს. მოურინიოს კი ეს არ მოსწონს.

მორიგი "კლასიკოს" შემდეგ, რომელიც ფრედ - 2:2 დასრულდა, კასილასი თბილად დაემშვიდობა "ბარსას" ფეხბურთელებს, რის გამოც ჟოზე მოურინიო გაღიზიანდა. "ვხედავდი, როგორი ურთიერთობა ჰქონდა კასილასს "ბარსელონას" ფეხბურთელებთან. უმჯობესია შემდეგში "ბარსელონასთან" ერთად დატოვოს სტადიონი", - განაცხადა მოურინიომ.

პორტუგალიელი მწვრთნელი "რეალის" კარში გასულ პირველ გოლსაც კასილასს აბრალებს. "როდესაც პირველი გოლი გაგვიტანეს, იკერი საკმაოდ ნელა მოქმედებდა. უფრო სწრაფი რომ ყოფილიყო, გუნდს იხსნიდა. მეორე გოლი კი იმ ფეხბურთელის დამსახურებაა, რომელმაც დაარტყა", - განაცხადა მოურინიომ.

ევროპის საფეხბურთო რუკაზე, შესაძლოა, ბალკანური ლიგა გამოჩნდეს

უეფაში აქტიურად განიხილავენ რამდენიმე ბალკანური ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატების ერთ ჩემპიონატად გაერთიანების საკითხს. ერთიანი ბალკანური ლიგა, რომელშიც სერბეთის, ხორვატიის, მონტენეგროს, ბოსნია-ჰერცეგოვინის, სლოვენიის, მაკედონიის, ასევე უნგრეთისა და ბულგარეთის კლუბები გაერთიანდებიან, შესაძლოა, უეფას რეესტრში 2015 წელს გამოჩნდეს. უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ ბალკანური ლიგის შექმნის იდეას მხარი დაუჭირა. კალათბურთში უკვე კარგა ხანია ფუნქციონირებს ადრიატიკის ლიგა, რომელშიც ბალკანური კულბები თამაშობენ.

"მილანს" გვარდიოლა არ სჭირდება

"მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი აცხადებს, რომ "როსონერის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე პეპ გვარდიოლას კანდიდატურა არ განიხილება.

"ნიუ იორკში გვარდიოლასთან შესახვედრად არავინ ჩავა. დიახ, ამ ქალაქში მართლაც უნდა ჩავფრინდე, მაგრამ მხოლოდ ქალიშვილთან შესახვედრად", - ამბობს გალიანი.

"მილანში" პეპის მიწვევა აქტიურად განიხილებოდა, თუმცა, როგორც ჩანს, იტალიურმა გრანდმა კატალონიელი სპეციალისტის ფინანსური მოთხოვნები ვერ დაკმაყოფილა.

"სიტი" ისკოს შეძენას გეგმავს

"მალაგას" ახალგაზრდა ნახევარმცველი ისკო ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ინგლისის მოქმედი ჩემპიონის - "მანჩესტერ სიტის" მთავარი სამიზნე იქნება.

20 წლის ტალანტის ხელში ჩასაგდებად მანჩესტერელები უკან არაფერზე დაიხევენ და არც თანხას დაზოგავენ.

სავარაუდოდ, "მალაგას" ხელმძღვანელობა ისკოს გასხვისებაზე უარს იტყვის. "სიტი" ფეხბურთელის კონტრაქტში მითითებულ საკომპენსაციო თანხას - 17 მილიონ გირვანქას სრულად გადაიხდის და მიზანს მაინც მიაღწევს. ესპანელებს ისღა დარჩენიათ, შეთავაზებას დათანხმდნენ ან ფეხბურთელთან სასწრაფოდ გააფორმონ ახალი კონტრაქტი და საკომპენსაციო თანხა გაზარდონ.

პაპინაშვილის ვერცხლი აბუ დაბის ტატამზე მარტოსულად ჩანს

აბუ დაბიში მიმდინარე ძიუდოისტთა დიდი პრიზი ვარსკვლავებით ვერ დაიკვეხნის. სუსტია წარმომადგენლობის მხრივ. წამყვან ძიუდოისტთა უმეტესობამ ტატამზე გასვლას შინ დარჩენა ამჯობინა. საქართველოს ნაკრებიც ხუთკაციანი, გადახალისებული შემადგენლობით ასპარეზობს. ორი დღის ჯამში კი მხოლოდ ერთ ვერცხლს დაეუფლა.

პაპინაშვილის ვერცხლი ჭერჭერობით ერთადერთია საქართველოს ნაკრებში

ამირან პაპინაშვილმა (60 კგ.) ჩვენებურს ოქრომდე გზა გადაუღობა მისთვის უხერხულმა მეტოქემ, რუსთა ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა ბესლან მუდრანოვმა.

არადა, პაპინაშვილი ფინალამდე ლამის მაქსიმალური შედეგით მივიდა - სამიდან ორ შეხვედრაში იპონით იმარჯვა, ერთში - ვაზარით.

თავდაპირველად ლიბანელ ზიადე დამიენს გაუმკლავდა 40 წამში. მერე ამერიკელ ნიკოლას კოსორს შეალია 3 წუთზე მეტი - ესეც იპონით. ამერიკელზე გამარჯვებით ქართველი ნახევარფინალში გავიდა. მესამე შეხვედრაში პაპინაშვილს მეტოქედ ერგო მონღოლი ამარტუვშინ დაშდაავი. მონღოლთან ორთაბრძოლა წინამორბედებისგან განსხვავებით სრულ ხუთ წუთს გაგრძელდა და პაპინაშვილის ვაზარით და ფინალში რუსეთის სახელით მოასპარეზე ბესლან მუდრანოვთან გასვლით დასრულდა.

მუდრანოვისა და პაპინაშვილის გზები უკვე მესამედ გადაიკვეთა და მესამედაც რუსის გამარჯვებით დასრულდა - მეტოქემ 30 წამში იმარჯვა. საგულისხმოა ისიც, რომ მუდრანოვმა ქართველი სამივეჯერ წლეულს დაამარცხა

ასე რომ, ამირან პაპინაშვილი აბუ დაბის დიდ პრიზს ვერცხლის მედლით დაემშვიდობა.

დიდი პრიზის პირველ დღეს, შესაბამისი რანგის ტურნირზე დებიუტი ჰქონდა საქართველოს ნაკრების მეორე წევრს იაკობ გაზდელიანს (66 კგ.). ეგაა, ახალბედას წილისყრაში არ გაუმართლა - პირველივე მეტოქედ იაპონელი მასაში კოდერა ერგო, რომელმაც მოგვიანებით ბრინჯაომდე გაიკვალა გზა.

გუშინ დიდი პრიზის მეორე დღეს მედლების კომპლექტი გათამაშდა ორ - 73 და 81 კილოგრამ წონით კატეგორიებში. აქედან საქართველოს ნაკრებს წარმომადგენელი მხოლოდ 81-ში ჰყავდა. შოთა ჯავახაძე, იაკობ გაზდელიანის მსგავსად დიდი პრიზის ახალბედა მონაწილე იყო. ცუდი დათხვევა კი ისაა რომ მანაც გაზდელიანის ბედი გაიზიარა - პირველივე შეხვედრაში ბრაზილიელ ვიქტორ პენალბერთან დამარცხდა. სამხრეთამერიკელი ჯავახაძეს 2 წუთსა და 11 წამში იპონით გაუმკლავდა.

დარჩენილ სამ წონით კატეგორიაში ჩემპიონ-პრიზიორები დღეს გამოვლინდებიან. საქართველოს ნაკრებს საზრუნავად ორი - 90 და 100 კილოგრამ წონითი კატეგორიები ექნება. პირველ მათგანში გამოცდა აქვს ჩასაბარებელი ზვიად გოგოჭურს, მეორეში - ვარლამ ლიპარტელიანს. გოგოჭურისთვის 90 კილოგრამი ჩვეული წონაა. ეს წონა ჩვეულია ლიპარტელიანისთვისაც, მაგრამ აბუ დაბიში ერთი წონით მაღლა ასპარეზობა გადაწყვიტა.

გოგოჭური საქმეში ჩაერთვება მერვედფინალიდან, სადაც მეტოქედ ჰყავს პორტუგალიელი რიკარდო ლოურო. პორტუგალიელზე გამარჯვების შემთხვევაში გოგოჭურს ურთიერთობის გარკვევა მოუწევს კანადელ ჯილომ ეფრაულტსა და კამერუნელ მარსელ ნჯიკს შორის გამარჯვებულთან. ვარლამ ლიპარტელიანი კი ასპარეზობაში პირდაპირ მეოთხედფინალიდან ჩაერთვება. ამ შემთხვევაში ქართველს ურთიერთობა ექნება გასარკვევი მსოფლიო რეიტინგის მეორეადგილოსან, რუს სერგეი სამოილოვიჩთან.

ისიც ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრების ძითადი ბირთვი მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელსაც 27-28 ოქტომბერს ბრაზილია უმასპინძლებს.

უცნობი
გრიგოლ
რობაქიძე

დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 91 22 83
(+995 32) 2 47 55 54
artanuji@artanuji.ge
www.artanuji.ge

www.artanuji.ge

გამომცემლობა არტანუჯი

პირველად

გრიგოლ რობაქიძის უცნობი
შემოქმედებითი მემკვიდრეობა
ქართულ ენაზე